

ტარიელ ფუტკარაძე

თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები¹

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები სამ ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- **ავტოქთონი ქართველები** — ცხოვრობენ ტრაპიზონისა და ართვინის მხარეებში: ძველი ეგრისის სამხრეთ ნაწილში —

¹ სტატიის ცალკეული ნაწილები წაკითხულია სხვადასხვა კონფერენციაზე; კერძოდ, იხ.: ტ. ფუტკარაძე, მუპაჯირი ქართველების შთამომავალთა ეროვნულ-ენობრივი თვითგანსაზღვრისათვის, რესპუბლიკური კონფერენციის (ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა) მასალები, თბილისი, 2004; T. Putkaradze, N. Putkaradze, Some aspects of the national and linguistic identity of descendants of Georgian Muhajirs, საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: Language, history and cultural identities in the Caucasus (Abstracts; მალმოს უნივერსიტეტის გამომცემლობა), MalmoUniversity, 2005, უნე 17-19; http://www.mah.se/templates/Page_19020.aspx; <http://www.scribd.com/doc/30161550/Language-History-And-Cultural-Identities-In-The-Caucasus-June-17-19-2005-Malmo>; ტ. ფუტკარაძე, ლაზთა ენობრივ-ენიკური თვითაღქმის საკითხისათვის, ლაზეთ-ჭანეთი: ისტორია და თანამედროვეობა, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2005, 25 აგვისტო, საქართველოს პარლამენტი — პირველი რესპუბლიკის დარბაზი; **On the question of Laz linguistic-ethnic self perception; Scientific Conference, Tbilisi, 25 August, Parliament of Georgia**; ტ. ფუტკარაძე, დედაენა, სახელმწიფო ენა და თვითაღქმა (მასალები თურქეთის ქართველობის შესახებ); საერთაშორისო კონფერენცია: ენა და კულტურა: ინტერდისციპლინარული და ინტერპარადიგმული პერსპექტივები, თბილისი, 26-27 ივნისი, 2008; ტ. ფუტკარაძე, იუსუფელში /თურქეთი/ მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები, ილია ჭავჭავაძის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 2011 წლის 15-16 ოქტომბერი. ნაშრომის მცირე ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში: ენა და კულტურა: ინტერდისციპლინარული და ინტერპარადიგმული პერსპექტივები, თბილისი, 26-27 ივნისი, 2008; ტ. ფუტკარაძე, ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ქართველოლოგიის ცენტრის V საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: თურქეთელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები; 28-29 მაისი, 2015 წელი.

ლაზეთში², მაჭახელში, ლივანა/ბორჩხასა და მურღულში (ბორჩხის ილჩე), იმერხე-შავშეთში (შავშეთის ილჩე) და ტაოში (იუსუფელის ილჩე);

- მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები(ძველი დიასპორის წარმომადგენლები) — მრავალრიცხოვან კომპაქტურ დასახლებებადსახლობენ ადაფაზარის, ბურსა-ინეგოლის, გონენ-კაისერის, სინოპე-ორდუ-ფაცას, ამასიის რეგიონებსა და თურქეთს სხვა ცენტრალურ მხარეებში.
- **ახალი დიასპორის წარმომადგენლები**, რომლებიც ბოლო პერიოდში დამკვიდრდნენ თურქეთში (უკეთანაზღაურებადი სამუშაოს ძებნის მიზნით); მათ გვერდით შეიძლება განვიხილოთ 1944 წელს საქართველოდან (მესხეთიდან) შუა აზიაში დეპორტირებული მესხების შთამომავალთა ცალკეული ოჯახებიც³.

თურქეთის რესპუბლიკაში ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) კილოებისა და ეთნოგრაფიის შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს (იხ., მაგ., გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, გ. კარტოზიას, ნ. ქუთელიას, ნ. კახიძის, ი. სიხარულიძის, ნ. ცეცხლაძის, შაჰინისა და სხვათა გამოკვლევები); აკადემიური ლინგვისტური რუკა კი დიდი იშვიათობაა; თურქეთში ქართული კილოების ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა ი. კორიაკოვის რუკა⁴:



² მაგ., ტრაპიზონში მცხოვრებ ავტოქთონ მოსახლეობას მეგრელებად — ქართველთა ერთ-ერთ ჯგუფად — თვლის ქართული წყაროები.

³ ვრცლად იხ., მ. ბერიძე, მაჰმადიან მესხთა ფესვები და დღევანდელია, თბ., 2009

⁴ <http://linguarium.iling-ran.ru/maps/18-turkey.gif>

სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ავტოქთონი თუ მიგრირებული (მუჰაჯირი) ქართველების კილოების გავრცელების ამსახველი ნაშრომებისა **ზღვრების ზუსტი მითითებით** (სოფლების სრული ჩამონათვალით). ნაწილობრივ ან ნაკლის შევსებასაც ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი.

ავტოქთონი ქართველების დიდი ნაწილი ცხოვრობს ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალურ ნაწილში — **ართვინისა და რიზეს მხარეებში**. ართვინი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია; კერძოდ, **ართვინის ილი მოიცავს** ისტორიულ ტაოს ნაწილს, ჭოროხის შუა წელსა და ზღვისპირა კლარჯეთს (ლაზეთის ნაწილს)⁵.



ართვინის ილში ქართველთა რამდენიმე ავტოქთონი ჯგუფი ცხოვრობს: მაჭახლელები, ნიგალელები, შავშელელები, ტაოელები, ლაზები. მაჭახლელები, ნიგალელები. შავშელელებისა და ტაოელების დიდი ნაწილი თავიანთ თავს **გურჯს** უწოდებენ (კუთხური დიფერენცირების გარეშე), ხოლო დედაენის (ქართველურის/ქართულის) თავიანთ კილოს — **ზოგჯერ გურჯულს**, **ზოგჯერ კი — ქართულს**“ (არ ახდენენ კონკრე-

⁵ <http://www.map-of-turkey.co.uk/maps/artvin.gif>

ტული კილოს სახელდებას). ლაზთა კუთხური მეტყველება (ჭანური) უფრო მეტად განსხვავდება ქართველთა სხვა კილოებისგან; გარდა ამისა, რამდენადაც თურქეთის ქართველობას ასწლობით გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი ქართველთა გამაერთიანებელ **ქართულ სამწიგნობრო კულტურასთან**, ლაზებს უფრო უჭირთ თვითიდენტიფიკაცია ქართულ კულტურასთან, ზოგადად, ქართველობასთან. თურქეთში, როგორც სხვა თანამედროვე ქვეყნებში, ძლიერია სახელმწიფო ენის — თურქულის პოზიციები, შესაბამისად, ქართველთაგან (გურჯთაგან თუ ლაზთაგან) ძალზე მცირე პროცენტმა იცის ისტორიული სამწიგნობრო ენა — ქართული სალიტერატურო ენა.

ართვინის ილის ავტოქტონ ქართველთა ისტორიული დედაენა — ქართველური (ქართული) ენა — წარმოდგენილია რამდენიმე კილოს სახით (ხშირ შემთხვევაში, ახალი თაობის წარმომადგენლებს უკვე დავიწყებული აქვთ მშობლიური კილოც და მხოლოდ თურქულად მეტყველებენ); კერძოდ:

ართვინის ილის მკვიდრი გურჯების მეტყველება რეალიზებულია: ქართული ენის მაჭახლური, ნიგალური (ლივანური/ლივანური), შავშურ-იმერხეული და ტაოური კილოებით;

ართვინის ილის მკვიდრი ლაზების მეტყველება რეალიზებულია: ხოფურ-ჩხალური კილოთი და არქაბული კილოკავით. მეზობელ რიზეს ილში ცხოვრობენ ათინურ-ართაშენულ კილოსა და ვიწურ კილოკავზე მოლაპარაკე ლაზები. გუგლის რუკაზე ავტოქტონ ქართველთა კილოები პირობითად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



ართვინის ილის ავტოქტონ ქართველთა კილოების გავრცელების ველი სოფლების მიხედვით:

მაჭახლური მეტყველება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მაჭახლური მეტყველება მიჩნეული იყო აჭარული კილოს ნაწილად; მასზე საგანგებოდ არავის უმსჯელია პროფ. შუშანა ფუტყარაძემდე. ამ მკვლევარის არგუმენტირებული მსჯელობით (ფუტყარაძე 1995) მაჭახლური ცალკე კილოდაა მისაჩნევი. სხვა მოსაზრების მიხედვით, მაჭახლური და იმერხეული კილოკავებია შავშური დიალექტისა (ფაღავა 2004: 809). აღვნიშნავთ, რომ ფაქტობრივი მასალა მხარს უფრო უჭერს შ. ფუტყარაძის მოსაზრებას; თუმცა, უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაჭახლური მეტყველება განგვეხილა აჭარულის კილოკავად; ნაკლებლოგიკურია, იმერხეულისა და მაჭახლურის გამოცხადება ერთ კილოდ, ვინაიდან მაჭახლურსა და იმერხეულს შორის უფრო დიდი სხვაობაა, ვიდრე აჭარულსა და მაჭახლურს შორის.

მაჭახლურ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **ზედა მაჭახლური** (ამჟამად მოქცეული თუქეთის საზღვრებში) და **ქვემო მაჭახლური** (დღევანდელი ხელვაჩაურის რაიონის სოფლები; ქვემო-მაჭახლურ მეტყველებას ბევრი საზიარო ფორმა აქვს ლივანურთან და ქვემო აჭარულთან). თქმის ფარგლებს არ სცილდება მაჭახლის ხეობიდან თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლებულ მუჰაჯირ მაჭახლელთა შთამომავლების მეტყველება. მათგან ქართული ენა და ტრადიციები ყველაზე უკეთ შემონახული აქვთ ბურსის ვილაიეთის, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიესა და ქალაქ ამასიის მიმდებარე რაიონების სოფლებში (ამასიასთან 50 კმ. ფარგლებში) მცხოვრებ მუჰაჯრთა შთამომავლებს; ამ სოფლების სახელებია: ბელდაღი/Beldağ (100 კომლი), იუვა/Yuva (50 კომლი), ჩათალჯა/Çatalca (50 კომლი), ულუფინარი/Ulupınar (15 კომლი), გურჯი დარამა/GürcüDarama ანუ დარმადერესი (მაჭახლელები არიან აგრეთვე ქალაქ სამსუნში ლადიკის (Ladik) რაიონთან ახლოს; ასევე, ფევზი ჩელების ცნობით, დუზჯეს სოფელ ჩილიმში. სეზაი სეფა-ფუტყარაძის ცნობით, ხენდეკშიც არის რამდენიმე მაჭახლური ოჯახი, კერძოდ, სოფელ სულეიმანიეში (სეზაი სეფა-ფუტყარაძის სოფელში).


ართვინის ილის ბორჩხის რაიონში ზემო მაჭახლურ კილოკავზე ლაპარაკობენ ზემო მაჭიხელის შემდეგი სოფლების მცხოვრებნი: ხერთვისი (Camili), ზედვაკე (Düzenli), ეფრატი (Efeler), ქვაბითავი (Kayalar), მინდიეთი (Maralköy), აკრია (Uğurköy).

ლივანური კილო.

ისტორიული ლივანი/ნიგალი/ლივანა მოიცავს საქართველოს ერთი რაიონის — ხელვაჩაურის — სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და ართვინის ილის (თურქეთი) მურღულის და ართვინის ილჩეებს და ბორჩხის ილჩეს ნაწილს. ამ ისტორიულ ქართულ კუთხეს მდინარე ჭოროხის ორ ნაწილად ჰყოფს — აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენს კატაფხიასწყლისა და დევსქელისწყლის ხეობები, ხოლო დასავლეთ ნაწილს — ბელღევანისწყლის, ჩხალისა და მურღულის ხეობები. აქაურ ქართული თემი ტრადიციულად **ნიგალელებად** იწოდება.

ნიგალურ კილოზე მეტყველი ქართველების სოფლებს ორ ჯგუფად (ორ კილოკავად?) წარმოვადგენთ: **მურღულის სოფლები და ბორჩხის სოფლები**.

Google-ს სატელიტური რუკების მიხედვით, მურღულის ხეობაში დასტურდება შემდეგი სოფლები: Civan, Sülüklü, Korucular, Akantaş, Erenköy, Özmal, Ardıçlı, Küre, Murgul, Petek, Damar, Kabaca. ამ სოფლების გარდა ეთერ ბერიძის წიგნში „ნიგალი“ (ბერიძე 2009: 180) მურღულის ცალკე სოფლად დასახელებულია ასევე: Çimenli (ჩიმენლი — კორიდეთი) და Başköy (ბაშქოი).



მურღულში შემაგალ 10 ოფიციალურ სოფელს დასახელებს ჩემი ინფორმატორი ნურეთინ მინერი (მასალა ჩაწერილია 2010 წლის

ავვისტოში); მისი აზრით, მურღულში არ შედის: ჩივან (ჯუვანი), **Sülüklü** (არხვა). საინტერესოა მის მიერ წარმოთქმული თურქული სახელების ფონეტიკური მხარეც: ქორუჯულარკოი (**Korucular**), აქანთაში (**Akantaş**), ერენქოი (**Erenköy**), ოზმალი (**Özmal**), არდიჩლი (**Ardıçlı**), ბაშქოი (**Başköy**), ქურე (**Küre**), მურღული (**Murgul**), ფეთექქოი (**Petek**), ქაბაჯქოი (**Kabaca**).

ამ ოფიციალური სოფლების ისტორიული და ავტოქთონ მოსახლეობაში დღესაც მოქმედი სახელებია:

Korucular — გეული; **Akantaş** — ბუჯური; **Erenköy** — ერეგონა; **Özmal** — ოზმალი; **Ardıçlı** — დურჩა; **Küre** — ქურა; **Murgul** — მურღული (ანუ ჭინკათხევი/ჭინკაღალი; **Petek** — გურბინი; **Damar/Maden** — ისკები; **Kabaca** — კაბარჯეთი⁶. დასახლებული სოფლების გარდა ბნი ნურეთინ მინერი ასახელებს სოფელ **ბაშქოის**(**Başköy**), რომლის უბნებია (მაჰალეებია): გოგლიეთი, ჩხალეთი, ლომიკეთი, ფოროსეთი. პროფ. შ. ფუტკარაძის მიხედვით (ფუტკარაძე 1993: 296) ეს უბნებიც⁷ სოფლებია. ამ დასახლებულ პუნქტებს თურქული სახელებიც უდასტურდება⁷: გო(ნ)გლიეთი — **Güneşli**; ჩხალეთი — **Büyükdere**; ლომიკეთი — **Sümerköy**; ფოროსეთი — **Aralık**. ეს ფაქტი მხარს უჭერს ამ დასახლებული პუნქტების მიჩნევას დამოუკიდებელ სოფლებად.

მდრ...: ცნობილი მკვლევარი შუმანა ფუტკარაძე, რომელიც ხანგრძლივად მუშაობდა მურღულის ხეობაში, 30-მდე სოფელს ჩამოთვლის (ინფორმატორი რივათ ბილირი): კაბარჯეთი (ჩვენ ჩავიწერეთ კაბარჯეთი“ ვარიანტით), წყალყვა, ყავრიეთი, აგარა, ისკები, ზანცული/ძანცული/დანცული⁸, ხახური (ხახული)⁹, ბაგა, გურბინი, ქურა (ზემო ქურა, ქომო ქურა), ჩხალეთი¹⁰, ლომიკეთი, ბაშქოი, ფოროსეთი, გოგლიეთი, ჭილაგრი/ჭილაური, ქორთუკეთი, ქვამჩირეთი/ქუამჩირეთი, დურჩა, კორდეთი/კორიდეთი, ოზმალი, ბუჯური, ხოსროლი, გეგლი, არხვა/არხუა, ტრაპენი, ბერეგუნა, ქამელეთი, ჯუვანი/ჯუანი, დიალეთი.

⁶ ფუტკარაძე 1993: 296; კაბარჯეთი; ბერიძე 2009: 327 — კაბარჯეთი

⁷ როგორც წესი, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში თურქული სახელები დაარქვეს ოფიციალურ სოფლებს, ხოლო ისტორიული მიკროტოპონიმის შეცვლა არავის უცდია მათი სიმრავლის და ლოკალური გამოყენების გამო.

⁸ ფონეტიკური ვარიანტები მიწერილია ჩვენს მიერ.

⁹ შ.ფუტკარაძისვე ცნობით, მუჰაჯირობის დროს ეს სოფელი ქართველებისგან დაიცალა და აქ ბოლო პერიოდში დასახლდნენ ხემშილები (მუსულმანი სომხები).

¹⁰ შ.ფუტკარაძის ცნობით, მუჰაჯირობის შემდეგ აქ ლაზები ცხოვრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქართული სოფლების მსგავსად, მურღულის სოფლებიც ხალხში ქართული სახელებით მოიხსენიება, თურქული ოფიციალური ნომენკლატურით მათ ახალი სახელები ხელოვნურად უმკვიდრდებათ; კერძოდ: გურბინი — **Petek**; ბაგა — **Balc**; დანცული — **Zansul**¹¹; კაპარჭეთი — **Kabaca**; აგარა — **Adagül**; ისქები — **Damar**; ადუხა — **Subaşı**; ქურა — **Küre**; ქუამჩირეთი — **Ortamahallesi**; ლომიკეთი — **Sümerköy**; ბაშქოი — **Başköy**; გონგლიეთი — **Güneşli**; ჩხალეთი — **Büyükdere**; ფოროსეთი — **Aralık**; დურჩა — **Ardıçlı**; კორდეთი — **Çimenli**; ოზმალი — **Özmal**; ერეგონა — **Erenköy**; ბუჯური — **Akantaş**; გეული — **Korucular**; არხუა — **Akpınar**; ჯუანი — **Civan**; დამფალი — **Ambarlı**; ორჯი — **Oruçlu**; ავანა — **Avcılar**; ქამილეთი — **Kâmilköy**; ჭილაური — **Soğuksu**; ჭანგურეთი — **Karadere...**

საკუთრივ ბორჩხის ქართულ სოფლებს წარმოვადგენთ შ. ფუტკარაძის მიხედვით (1993: 310): მარადიდი, ხემა, ქლასქური, კატაფხია, ბელღევი, მურკივეთი, ზედუბანი, დევსქრლი, ბაგინი, არჰავეთი, ავანა (**Avcılar**), დამფალი (**Ambarlı**), თხილაძორი, ორჯი (**Oruçlu**), ებრიკა, ადაგული, ოფუხა, ნიგია, საბავრი, კინცხურეთი, ჭინკური, ქართლა, ომანა, ურზუმა, პეტრული, ვალაშენი, ოხორჯი (ესენი თელლი გურჯი არიან, თურქი არ ურევია“; ფუტკარაძე 1993: 317).

ლაზური კილოები.

ლივანს/ნიგალს/ლივანას დასავლეთიდან საზღვრავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთი კუთხე — ლაზეთი ანუ ჭანეთი (კერძოდ — ხოფისა და არქაბის თემები). ამიტომ ბელღევანისწყლის, ჩხალეთის და მურღულის ხეობებში ლივანელებთან ერთად, ძველთავანვე ლაზებიც სახლობენ. ართვინის ილის ლაზური სოფლებს სიას წარმოვადგენთ მ. ლაბაძის მიერ დაზუსტებული სიის მიხედვით¹²:


ხოფური კილოს საკუთრივ ხოფური კილოკავი გავრცელებულია ხოფის ილჩეს შემდეგ სოფლებში: აზლალა (**Esenkiyı**); ანჭორიხი/ანჩიხორი (**Pınarlı**); არდალა (**Eşmekaya**); ბუჩა/ბუჩე (**Güvercinli**); ზალონა (**Koyuncular**); კარაოსმანიე (**Karaosmaniye**); კისე (**Sugören**); ლიმანი (**Liman**); მაისქიოფუტე/მაესქიოფუტე (**Dereiçi**); მაკრიალი/ნოღელი

¹¹ ზოგ სოფელს თურქული სახელი იმიტომ არ ჰქვია, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ სოფლად არაა მიჩნეული მოსახლეობის სიმცირის თუ სხვა მიზეზის გამო.

¹² ლაბაძე 2008; მ.ლაბაძე, ლაზურ კილოთა ლექსიკონი (ხელნაწერი შრომა).

(Kemalpaşa); მხიგი/ფხიგი (Başköy); ოსმანიე (Osmaniye); პანჭოლი (Yeşilköy); პერონითი/პერონთი (Çamlı); ჟურპიჯი/ზუპრიჯი (Yoldere); სარფი მელენი (Sarp); სუმჯუმა (Üçkardeş); ქიოფრიჯი (Köprücü); შანა (Kayaköy); ჩაუშლი (Çavuşlu); წკარისთი (Subaşı); ჭანჭახუნა (Çamurlu); ხემშილათი (Kazimiye); ხენდეკი (Hendek); ხიგობა (Başoba).

ხოფური კილოს ჩხალური კილოკავი გავრცელებულია ჩხალის ხეობაში — ბორჩხის ილჩეს შემდეგ სოფლებში: ჟურხინჯი (Çifteköprü); წყარყა/წკარყა (Çifteköprü-ს უბნად ითვლება); სახანდრო (Fındıklı); ჩხალაზენი (Düzköy); ხანდუზი (Demirciler); კოსტანეთი (Kestanelik); მამანათი (Elmalı); პანჭურეთი (Pancarlı). მ. ლაბაძის მტკიცებით, მურღულის თითქმის ყველა სოფელში მოსახლეობა ლაპარაკობს როგორც ლივანურ, ასევე, ლაზური ჯგუფის ხოფური კილოს ჩხალურ კილოკავზე, ამიტომ ლაზურის გავრცელების არეალად მურღულის ხეობაც შეიძლება მივიჩნიოთ.



ლაზური ჯგუფის კილების კიდევ ერთი წევრის — ვიწურ-არქაბული კილოს — არქაბული კილოკავი გავრცელებულია არქავის ილჩეს შემდეგ სოფლებში: ბაშქოი (Başköy); ბახთა/ბახთე (Kireçlik); გიდრევა/გიდრევე (Dereüstü); გიაზნოი ონა (Güneşli); დურმათი (Ulaş); კამპარნა/კარპანა (Dikyamaç); კობტონე (Gürgencik); კორდელითი (Konaklı); ლომა/ლომე (Yolgeçen); ნობალენი (Yıldızlı); იაკოვითი (Kavak); ორჭა (Ortacalar); ოტალახე (Sirtoba); პაპილათი/პაპლათი (Arılı); ჟილენ კაპისტონა (Güngören); ჟილენ კუტუნითი (Tepey-

urt); ყილენ ნაფშითი (ნაფჩითი) (Yukarı Şahinler); ყილენ პოტოჯური (Soğucak); სიდერე (Derecik); სუმღალი (Üçürmak); სუმღალ/უჩღერი (Üçler); ფარეხი (Boyuncuk); ფილარგეთი (Ulukent); ქუცუბეთი (Yukarı Küçükköy); ცხულეთი/სუხულეთი (Küçükköy); წალენ კუტუნითი (Şenköy); წალენ ნაფშითი (ნაფჩითი) (Şahinler); წალენ პოტოჯური (Dülgerli); ჭუკალვათი (Kestanealan); ჯგიაზენი/გიაზენი/ჯგირიაზენი (Kemerköprü).

იმერხეული (შავშური) კილო.

იმერჯევი შავშეთის რაიონში შედის. იმერჯევი იწყება შერთულ-ლიდან (რომელიც მალე წყალქვეშ მოექცევა) და მოიცავს რამდენიმე პატარა მდინარის ხეობას აჭარის მთებამდე.


იმერჯევის სოფლებია: შერთული, შარაბული, სინკოთი (Küplüce), ჩაქველთა (Şenocak), დასამობი (Dereiçi), ბრილაგარა, დავლათი, ოთკლდე (Ulukent), სურევანი (Dutlu), ჯვარისხევი (Sebzeli), ჩიხის ხევი (Yanıklı), ბაზგირეთი (Maden), დიდხანი, ზიოსი (Tepebaşı), ხევწვრული (Çağlayan), დაბა (Demirci), უბე (Oba), ჩიხორი (Çukur), თეთრაკეთი, არღისაწმინდა (ნ.მარი — ანდრია წმინდა), ლიბანი, წყალსიმერი (Balıklı), შოლტისჯევი (Karayığit), ბზათა (Akbiyık), წეთილეთი (Çiçekli), ჯოჯლევი (Çağlıpınar), ზაქიეთი (Yağlı), მაჩხატეთი (თურქული სახელი არ ჰქვია, რამდენადაც მაჩხატეთი ადმინისტრაციულად შედის ჯოჯლეგში), მანატბა (Yeşilce), აგარა (Erikli) იმფჯრევილი (Taşköprü), იმნიეთი¹³ (თურქული სახელი არ ჰქვია, რამდენადაც იმნიეთი ადმინისტრაციულად შედის იმფჯრევილში), ქოქლიეთი (Mehmetçik), დიობანი (Meydancık), ივეთი (Mısırlı), გამეშეთი, დავითეთი, ფარნუხი (ფარამუხი), დიდმერე, რიოლეთი (ნიოლეთი), გოგიეთი, გომთა, ჭვარები (Şalçı), ჩიხეტა (Akdamla)...

¹³ როგორც წესი, იმნიეთს ცალკე სოფლად არ იხსენიებენ არც თურქეთის ოფიციალური დოკუმენტები და არც თანამედროვე ქართული მკვლევრები. შ. ფუტყარაძე და ნ. ცეცხლაძე მას იმფჯრევის უბნად მიიჩნევენ; იმნიეთსა და იმფჯრევის ერთმანეთისგან მხოლოდ პატარა ღელე ჰყოფს, მაგრამ, ადგილობრივთა თქმით, ისინი ცალ-ცალკე სოფლებია; კერძოდ, თითოეულ სოფელს აქვს თავისი საზაფხულო ყიშლა, იალბლები, საძოვრები. საყურადღებოა, რომ ნ. მარს იმნაძე ცალკე სოფლად აქვს დასახელებული (ნ. მარი, 1911, გვ. 43). ადგილობრივთა თქმით, სოფელს სახელი დარქმეული აქვს აქ მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის — იმნაძეების მიხედვით: იმნიეთი — იმნაძეების სოფელი; შდრ., იმნიეთის მეჭელები (უბნები): ჭურკვესეთი [ესენი მოსულან შავშეთიდან], იფშრიენთი, უშარეთი, იალჯიენთი, ჯაფარეთი, ბოჯანათი (ანუ ნავანები)...

იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა მეტყველება (ტაოური კილო).

ძველი წყაროების მიხედვით, ტაოს ნაწილი — ამჟამინდელი იუსუფელის რაიონი — ქართველ თავადთა — კავკასიძეთა — სამფლობელოდ ითვლებოდა: კავკასისძე მისითა მამულითა: პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურის შვილებითა საყმო სამწყსოთი...“ ცნობილია ისიც, რომ ტაო-კლარჯეთი ისტორიულად შედის ქართული ეკლესიის საზღვრებში, კერძოდ, იმხნის საეპისკოპოსოში: იმხნელის სამწყსო: გურჯიბოლაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯს თავის საკრულავი ჰქვიათ იმას აქეთი, გაღმა ორჯონის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდამოღმა“ (ბაქრაძე, 1987: 75-76).

ისტორიულ ტაოში ქართული შემორჩენილია მხოლოდ პარხლისწყლის ხეობაში; კერძოდ, პარხლისწყლის მარცხნივ არსებულ სამ თემში: ჯევეგში (ჯევაი; **Bıçakçılar**)¹⁴, ქობაქში (ქობაი; **Yüksekova**) და ბალხში (**Balcılı**); თითოეულში ამ თემში რამდენიმე პატარა სოფელი შედის.



¹⁴ ჯევაის სახელის ვარიანტებად ჩავიწერეთ, ასევე: ჰევაი **ლივანე** და ჰევევი **ლივანე** (<ჯევაის ლივანე)ერთ-ერთ სახელად ჩავიწერია ფშანაჯევი (?).

ვევად დღეს ერთ სოფლად იხსენიება, რამდენადაც ვევაძს თემს ერთი გამგებელი (მუხტარი) ჰყავს. სინამდვილეში ამ თემში შედის ერთმანეთისგან საკმაო მანძილებით დაშორებული სოფლები, რომელთაც თავთავიანთი ისტორიული საზღვრები და **მთის აგარები** (საზაფხულო სოფლები — იაილები) აქვთ¹⁵. თითოეულ ამ სოფელს აქვს თავისი უბნებიც (მაჰალეები)¹⁶, სადაც ძირითადად მოგვარეები ცხოვრობენ; კერძოდ, ვევაძში შედის სოფლები: იეთი, ობლეკარი, სადრიყანა / (სადიყანა), ვაჩეკარი, კრავეკარი (კრავეკარი), ქელაძორი¹⁷, .ჰესევიკარი, დოლეკარი, ჭეილენკარი, დოლენჯაკარი, გოდლეკარი, ბასლეკარი (ბასილაკარი), ქონობანი, ელიასხევი (ილიასხევი), ქორიეთი. **ახლა აგარებია**, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგი მათგანი ადრე დამოუკიდებელი სოფელი იყო: დევსეკარა, ველითავი, ჭირხლაქეთი, ზემოჭეილენკარი, ყულედიბი, ცერეკარი, აზლენკარი (ქელაზორის აგარა), მაღლაბასლიკარი, შაბლინკარი, ფიშნავევი (ფიშნარიკვევექი — ქონობანის აგარა), კუარეთი, ბოწმინდა (ელიასხევის აგარა)...

შდრ.: მხოლოდ ერთი სოფლის — ელიასხევის — მაჰალეებია (უბნებია): არტაანი¹⁸, ბრეჭიანნი, ფუჩიანნი; ელიასხევის მიკროტოპონიმებია: ბოწმინდა, მოდეული, მანანთკარი, ინტკორი, ფინნეთი, გიაზირი, ყურაჲ, სათივე, დიდმამული, ფერსექეთი, ნაკაულო, ვერანე, საგუბარი, დალაგვერდაჲ, ახალი ევლეგები, ქოშათები, სამერცხლე...

ბალხის სოფლებია: **საკუთრივ ბალხი, ყარამანლები, ხუცეკარი, წითლიკარი, ონონათკარი, ლიტრევი**; ასევე, ამ სოფლების ბარი სოფლები: **სავრიათი და ბალხიბარი**.

ქვაბაი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: **ნაბიანნი, ალიანნი**.

ადგილობრივთა თქმით, ამ სოფლებში ადრე უფრო ბევრი კომლი იყო; მოსახლეობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გადასახლ-

¹⁵ ბოლო პერიოდში ამ სოფლებს საკუთარი ვებგვერდებსაც უქმნიან; მაგ., ელიასხევის ვებგვერდის სახელია „ჯირო“, რომელიც მომდინარეობს ჩანჭქერის სახელიდან. ამ სოფლის ტერიტორიაზე (მთაში) არსებულ ჩანჭქერს, ჩანს, ერქვა „ძირო“, რომელიც ტრანსფორმირდა ჟიროდ/ჯიროდ; ვებგვერდის მისამართი: www.asiciro.com.tr (ავტორი — თემელ სარი).

¹⁶ რამდენადაც ოფიციალურად ვევაძს თემი დღეს ერთი სოფელია (Bıçakçılar köy), დღეს ამ თემში შემავალი სოფლები იწოდება მაჰალეებად.

¹⁷ ადგილობრივთა თქმით (რეჯებ ქეჩეჯი), აქ ორი წელს უცხოვრია თამარ მეფეს; მასვე ქელაძორში მიუყვანია წყალი (ეს რუ ჩანს ბალხიდანაც კი).

¹⁸ ელიასხევის არტაანი!

და სტამბოლის, ადაფაზარისა და ბურსა-ინეგოლის მხარეებში. დღეს ქონონაბში ცხოვრობს 50 კომლი, ელიასხევში — 35, ქორიათში — 22, ბასლევარში — 12, გოდლევარში — 8, კრაევარში — 8, იეთში — 45, სადიყანაში — 10, ობლევარში — 8, დოლევარში — 9, ჭეილენ-კარში — 10, ბასლევარში — 12...

აქვე შევნიშნავ, რომ რეკებ ქეჩეჯისა და სხვა ადგილობრივ მკვიდრთა მტკიცებით, ვევას ხევის ხეობაში ერთმანეთისგან განსხვავებული 5 კილოკავი გვაქვს: **ქვაბაის** მეტყველება, **იეთის** მეტყველება; **ვევის** **შუაგულის** მეტყველება, **ილიასხევის** მეტყველება და **ბალხის** მეტყველება. ჩვენც დავადასტურეთ გარკვეული სხვაობები; მაგ., იეთში ძეწკვს ჯვაკი“ ჰქვია, ბასლევარში — ჯეკვი/ჯეჰკვი“. საკითხი საგანგებო შესწავლას საჭიროებს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ დასახელებული ყველა სოფლის მიკროტოპონიმია ფაქტობრივად მხოლოდ ქართულია (მეტად იშვიათად გვაქვს ახალი თურქული სახელები)¹⁹.

ტაოს მკვიდრ ავტოქთონ ქართველთაგან ერთი ნაწილი ინარჩუნებს ენობრივ-ენთიკურ მეობას (თურქეთის მოქალაქე ყველა ქართველი თურქეთის სახელმწიფოს ერთგულია; შესაბამისად, მისი სახელმ-

¹⁹ ასეა შავშეთის რაიონშიც; სამაგალითოდ მოვიყვანთ ერთ-ერთი სოფლის — ქოქლიეთის — მიკროტოპონიმის: კოკოლა (საძოვარი); ჯარისაკლავი (საძოვარი); საბუქარა (საძოვარი); კარეთი (საძოვარი); მირისაფლავი (საძოვარი); აკვანა (საძოვარი); ბოსტანა (საძოვარი); კოდიქედი (საძოვარი); ორსულა (საძოვარი); სამარილო; მელისაკუნტალა; დიდახო (ტყე); ქარაფა (ტყე); სამერცხლე (ტყე, სათიბი); კანტისერი (ტყე); კიბიათი (ტყე); კეტმიწვერი (ტყე); ფოქლისერი (ტყე); ქობაძკარი (ტყე, სათიბი); გასაყარი (სასთიბი, სანეკრე); ვახათი/ვახათედი; მორჩნალა; წყლიანი ღელე; ვმელი ღელე; ქოხისერი; ჩამძვრალი (სათიბი); ყანლიღელე; ქეციმერი (ჭალები); საკოლავი; ქორთა (სერი); ჯიმჯიმაწყარო; სამღვრეთი (საკაფი/სანეკრე, ჭალა, ღელე); საჭურიათი (ჭურები უპოვნიან); მარიობაზირი (ჭალა); ვაკე (ჭალა); სორმაგული (ჭალა); ელიასერი (მთა, სათიბი, ტყე); ჭედრავლა (ჭალა); ყაფარა (მიწა და ქვიანი, ერთ მხარეს ფლატე); უკანგოვლეტი (ჭალა); გოვლეტი (მეჭელე — [ქოქოლეთის ყურწი]); ნაასლევი (ჭალები); ილაერი (სათიბი); მელისკედი; მერე (ყანა); ბახჩიები; კუბო (ჭალა); ვევირა (ხიჭიყანა); ვევირები (ხიჭიყანა და ხევირა! ერთად) (ყანა); კარზეყანა (ყანა); გზელა (ყანა); საყდარი (ჭალა); ორბოზალი (ჭალა, ყანა იყო); კორდავლი (ყანა); ქაშავრი/ქაშაური (ყანა); მაზმანიყანა; ორგზათი (ყანა); ჯვარი (ყანა); საყდრიყელი (ეკლესია იყო); უწყლო (სკოლა დგას); ბუჭა; მაჩოყანა; საკირე (საკაფი, თეთრი ქვები); სანებათი [ჯვარი დეილევა, მერე დგას ჯარი, იქ არის სანებათი]; ტბათი (ტბა დგებოდა); პატენთი; ვევიღელე; ვიდი-თავი; მარიობაძირი [ქილისე ახლოა, 100 მ. დაბლაა ქილისა]; მეგრელავრი (ყანა); ანჭარევი (ყანა); ყანაწვერა (ყანა); ვახათი (ჭალები); საღუე (მთა, ტყე)... უბნები: ბაირახტიენთი (მეჭელე); იბადიენთი (მეჭელე); მოსიეთი (მეჭელე), გაღმორიენთი (მეჭელე); ჯაფარეთი (მეჭელე); ლოლიეთი (მეჭელე); გოვლეტი (მეჭელე); ოსმანიენთი (მეჭელე); მელისკედიენთი (მეჭელე); პურიენთი (მეჭელე); გაღმაპურიენთი/კაკავნები (მეჭელე).

წიფობრივ-ნაციონალური მეობა თურქულია); დიდ ნაწილს კი უკვე დავიწყებული აქვს ისტორიული დედაენა და ენობრივ-ეთნიკურადაც თურქად მიიჩნევს თავს; მათ ქართველობას ცხადყოფს:

- თურქულენოვან მეტყველებაში დიდი დოზით შემონახული ქართული ენის სუბსტრატული ფენა /ფონემატურ სტრუქტურაში ე.წ. კავკასიურ ხშულთა არსებობა, პალატალიზებული ხმოვნების ნაკლებობა, მრავალრიცხოვანი ქართული ლექსიკა... /;
- დასახლებულ პუნქტებში არსებული მიკროტოპონიმის უდიდესი ნაწილის ქართულენოვნობა;
- მრავალმხრივი ეთნოგრაფიული მახასიათებლები;
- გადმოცემები თამარ მეფის შესახებ;
- გარეგნობა (ანთროპოლოგიური მახასიათებლები) და სხვ.

მიკროტოპონიმის შესახებ იხ., მაგ., სოფელ ოთხთის /დორთქილისას/ შესახებ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის, **ნერიმან ალბაირაქის** სადიპლომო ნამუშევარში მოცემული მასალა, კერძოდ, სოფელ ოთხთის მიკროტოპონიმები:

სოლბათ (სოლაბ-ი — “მარცვალი“ (აბულაძე); **სალ** (სალი — მაღალი ტინი, კლდე (საბა); **იფინთ** (იფნ-ი — ხე“ (საბა); **აბანეთ**; **გონგირევ**; **პატარა ბოლაზ**— “პატარა ყელი“; **ქუაბუნ ბოინი** (საქვაბე ადგილი); **ზათქეთხევ**; **ათქეთხევ** — აქეთა ხევი; **ჭორლა**(ტალახიანი ადგილი; შდრ. ჭორ-ოფ-ა; ჭორ-ო-ხ-ი); **შავშეთ**; **ჯვარქეთ**; **შუარე** /შუა ადგილი/; **ფართ** /დიდი ადგილი/; **მურხაჯილი** (მუხნარი); **ბასილეთ**... (ნაშრომი ინახება ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში).

მსგავსი ვითარება გვაქვს სოფლებშიც: პარხალი, ზემვანი (<ზემოვანი), ერმენხევაი (ადგილობრივი წარმოთქმით), დევთისა, სარიგელი, უტავი, კანჭალოში, ახალთი, კერეველათი, დუტთერე (ყველა ამ სოფლის სახელიც და მიკროტოპონიმაც ძირითადად ქართულია, მოსახლეობა თურქულად მეტყველებს, თუმცა მათ თურქულში ქართული ენის სუბსტრატი აშკარად ჩანს).

იუსუფელის რაიონში მცხოვრებ ქართველთაგან ისტორიული დედაენა შემონახულია პარხალისწყლის ხეობის ზოგ სოფელში და პარხალისწყლის შენაკადის ხევას ხევში არსებული ყველა თემის/საზოგადოების ყველა სოფელში, კერძოდ: ქობაში, ბალხის საზოგად-

დოების სოფლებში და ხევას შემდეგ სოფლებში /რომლებიც ზოგან უბნებად იწოდება/:

ივეთი, ობლეკარი, სადრიყანა, ვაჩეკარი, კრავეკარი, ქელაძორი, ჰესევიკარი, დოლეკარი, ჭეილენკარი, ქორიეთი დოლენჯაკარი, გოდლეკარი, ბასლეკარი, ქონობანი, ელიასხევი და სხვ.

შდრ., ხევას ხევის (ადგილობრივთა წარმოთქმით: ხევის) ნასოფლართა სახელებიც: ველითავი, ჭირხლაქეთი, ყულედიბი, ცერეკარი, აზლენკარი, შაბლინკარი, ფიშნახევი, კუარეთი, ბოწმინდა...

ხევას ხევის სოფლების მკვიდრთ შემონახული აქვთ ქართული ფოლკლორი, ქართული კერძები და სხვა ქართული ეთნოგრაფიული მახასიათებლებიც; იხ., მაგ., ხეველი ქართველების ფერხული:



ტაოელი ქართველები, საერთოდ, თურქეთის მოქალაქე ქართველები, კარგად ერკვევიან ოსმალეთისა და თურქეთის ისტორიაში და თურქეთის სახელმწიფოს დიდი პატრიოტებიც არიან; ამავე დროს, მათ სუსტად იციან თავიანთი ეთნიკური ისტორია; სამაგალითოდ განვიხილავთ, ტაოს ქართველების თვითაღქმას:

თანამედროვე ტაოს მკვიდრი ქართველების დიდ ნაწილს აღარც თავისი დედაენა ახსოვს და არც თავისი ქართული ფესვების შესახებ აქვს ინფორმაცია. ისინი თავიანთი ქართული წარმომავლობის შესახებ რომ იგებენ, ბუნებრივია, ითხოვენ არგუმენტებს. ისტორიულ ქართულ წყაროებზე მითითება ან ამ წყაროების მიწოდება მათთვის დამაჯერებელი არ არის, მაგრამ შთამბეჭდავი ეფექტი იქონია მათივე

სოფლების მიკროტოპონიმიის ანალიზმა /ისტორიული წყაროები ყველა მხარეს თავისი აქვსო, მეუბნებიან/.

ხევას სოფლებში, სადაც დედაენა ახსოვთ, მსგავსი პრობლემა არ გვხვდება, თუმცა, ეთნიკურ-კულტურული იდენტობის მიხედვით, აქაურ ქართველთა შორის ორი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. ადამიანები, რომლებიც, განათლებისა და ინფორმაციის ფლობის მიუხედავად, უეჭველად თვლიან, რომ ქართული ეთნოსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ; მაგ., 2010 წელს ერთმა იქაურმა მეგობარმა — რეჯებ იაზიჯმა — მითხრა: საქართველოს, თბილისის უნახავად რომ მოგვკვდე, თვალები ღია დამრჩება!“სამწუხაროდ, (2011 წელს რეჯები გარდაიცვალა: მან თბილისი ვერ ნახა.

რეჯებ იაზიჯი (მარჯვნივ):



2. ტაოელ ქართველთა მეორე ნაწილი თვლის, რომ აჭარელ მუსულმან ქართველთა შთამომავლები არიან და არ წარმოადგენენ იმათ მემკვიდრეებს, რომლებმაც ააგეს იუსუფელში არსებული ქართული ეკლესიები; კერძოდ, მათ ჰგონით, რომ ისინი აქ ჩამოსახლდნენ აჭარიდან.

როგორც წესი, ამ ქართველებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესახებ; მათ იქაურ სკოლებში არ უსწავლიათ არც ქართველი ერის ისტორია და არც ისტორიული ტაოს რეალური ისტორია. ისინი დააჯერეს, რომ ოშკი, პარხალი, იშხანი... იმ ქართველებმა ააგეს, რომლებიც ოსმალოების

შემოსვლისას გამოიქცნენ იმერეთსა თუ ქართლ-კახეთში.

ტაოელ ქართველთა ეს ნაწილი ასე მსჯელობს:

ძველი გურჯები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ.



საკუთრივ ხევას ხეობის სოფლების მკვიდრთა დიდი ნაწილი კი ასე ამბობს:

ქართველები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ. ხევას ხეობაში ეკლესია არ არის; ე.ი. აქ ქრისტიანი ქართველები საერთოდ არ იყვნენ; აქ მიწები დაუსახლებელი იყო. აჭარა რუსებმა რომ დაიკავეს, ჩვენ აჭარიდან წამოვედით და აქ მოვედით, დავსახლდით და ამ ადგილებს სახელებიც მას შემდეგ დავარქვით“... ციტირებული ფრაზა ეკუთვნის ისმეთ ბათმაზს /40 წლის, სოფელი ხევა; 2011 წლის 21 ივლისი/²⁰.

ტაოს ამ მაღალმთიან დასახლებებში (ხევა, ბალხი, ქობა) ოშკის, ხახულის, ბანის, იშხნისა თუ პარხლის დონის ქრისტიანული

²⁰ ისმეთის ძმები: ადემი, ოსმანი, რამაზანი, მევლუდი მსგავს დისკუსიაში არ შედიან, თუმცა, ჩვენს გაცნობამდე ისინიც თვლიდნენ, რომ მუსულმანი აჭარლების შთამომავლები იყვნენ. მათ როცა გაიგეს, რომ სულ სხვაგვარია აჭარული კილოს თავისებურებანი, რომ საარქივო მონაცემების მიხედვით მუჰაჯირად წასული ყველა აჭარელი გადასახლდა შუა თურქეთში, ამასიასა თუ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ითხოვეს მეტი ინფორმაცია თავიანთი ისტორიის შესახებ.

სალოცავები მართლაც არა გვაქვს, მაგრამ მიკროტოპონიმია აქაც მყარად ინახავს ქრისტიანული ძეგლების არსებობის კვალს, მაგ., ქალაქორის ყველაზე ლამაზ, ვაკე ადგილს ჰქვია „საყდარი“. ამჟამინდელ ტაოელ ქართველთა ავტოქთონობასა და იმასაც, რომ ისინი მემკვიდრენი არიან ოშკის, ხახულის, პარხლის, იშნის... ამგები ქართველებისა, ცხადყოფს ხალხური გადმოცემებიც; კერძოდ, ხევეგელთა გადმოცემით, აქ უცხოვრია თამარ მეფეს, მას აქვე შორიდან მოუყვანია წყალი და ა. შ. მოსულ საზოგადოებას მსგავსი ინფორმაცია არ ექნება. ამგვარი გადმოცემების გარდა, ამჟამინდელი ტაოელების (იუსუფელის ქართველობის) ავტოქთონობას ცხადყოფს ისიც, რომ ტაოური და აჭარული კილოები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, ხოლო საარქივო მონაცემების მიხედვით, მუჰაჯირად წასული ყველა აჭარელი გადასახლდა შუა თურქეთში, ამასიასა თუ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე.


საკუთარი წარსულის შესახებ აკადემიური ინფორმაციების მოსმენის შემდეგ იცვლება ტაოელ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა; ისინი ითხოვენ მეტ ინფორმაციას თავიანთი ისტორიის შესახებ /და მათ უფლება აქვთ, ჰქონდეთ ეს ინფორმაცია/. აქვე აღვნიშნავ, რომ ტაოელ ქართველთა ახალი თაობა ადევკატურად რეაგირებს ობიექტურ ინფორმაციაზე.



ბოლო დროს, აქაურ ქართველებში უფრო მეტი ინტერესი ჩნდება თავიანთი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამავ დროს ისინი, გარკვეულწილად, დისტანციურად უყურებენ

რეალურ ისტორიას, ვინაიდან, ხვდებიან, რომ მათი წინაპრების ისტორია გადაჯაჭვულია ქრისტიანობასთან — მათთვის უცხო რელიგიასთან.

ახალი ინფორმაციების მიღების, თანამედროვე ტურისტული ბუმით გამოწვეული ურთიერთობების, საინტერნეტო აქტიური კავშირებისა და სხვა ფაქტორების გამო, ტაოელი ქართველებისთვის, ზოგადად, თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის, იზრდება ეთნიკური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორების რაოდენობა; შედეგად, იუსუფელში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გააზრებაში ახალი ეტაპი იწყება, თუმცა, ჯერჯერობით მაინც დიდია იმ ქართველთა პროცენტი, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას ისტორიულ ტაოში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებთან; კერძოდ, ამჟამად, ხევას ხევშიცა და ავტოქთონი ქართველებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სხვა სოფლებშიც შედარებით მცირეა იმ ადამიანთა — მუსულმან ქართველთა — რაოდენობა, რომელსაც სჯერათ, რომ იმ დიდი კულტურის მემკვიდრეები არიან, რომლის ნაწილიცაა: იშხანი, ოშკი, ხახული, ბანა, პარხალი, ოთხთა... თურქეთის მოქალაქე ქართველებისათვის



ობიექტური ეთნიკური ისტორიის მიწოდების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ექნება თურქეთის ხელისუფლების პოზიციას.


აქვე აღვნიშნავ, რომ თურქეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების ისტორიის შესახებ ტურისტულ ბოლო დრომდე ვერ იღებდა აკადემიურ ინფორმაციას.

ვფიქრობ, ნათელია, რომ ისტორიულ ქართულ კულტურასთან — თავიანთი წინაპრების მიერ შექმნილ კულტურასთან — ტაოელ ქართველთა გაუცხოებას ორი მიზეზი აქვს:

- მწირი ობიექტური ინფორმაცია თავიანთი წარსულის შესახებ;
- რელიგიური მსოფლალქმა.

ფაქტია, აქაური მუსულმანი ქართველებისთვის უკვე უცხოა რეგიონში არსებული ქრისტიანული ძეგლები; **ეს არცაა გასაკვირი**; შდრ., ბოლშევიკების ბატონობის მცირე პერიოდში საქართველოს ცენტრალურ რეგიონებშიც კი: გურიაში, იმერეთში, ქართლში... ხალხი გაუუცხოვდა ქრისტიანულ ეკლესიებს.

რელიგიური თავისუფლების თემა ფაქიზია, ამიტომ არ ვაპირებ ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელებას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის რელიგია არის არა მხოლოდ მსოფლხედვისა და ცხოვრების წესის საფუძველი, არამედ, ხალხის კულტურისა და ისტორიის ნაწილი, შესაბამისად, ყოველ რელიგიას ამ კუთხითაც უნდა შევხედოთ... ყველა შემთხვევაში, როგორც თურქეთის, ასევე, საქართველოს სირცხვილია, რომ ასეთ მდგომარეობაშია, მაგ., ოთხთის დიდებული ტაძარი:



მუჭავჭირი ქართველების შთამომავლები.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მუსულმან ქართველთა დიდ ნაწილს რუსეთის იმპერიამ დაატოვებინა მშობლიური ადგილები აჭარაში, მაჭახელსა თუ ისტორიულ ნიგალში. საქართველოდან ქართველები გაასახლეს იმიტომ, რომ რუსეთს სჭირდებოდა ქართული მიწა ქართველების გარეშე, ოსმალეთს კი — იაფი მეომარი და მიწის მეურნე-მუშახელი.

შუა თურქეთამდე ტანჯვა-წამებით მიღწეულმა მუსლიმანმა ქართველებმა საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელად შეინახეს თავიანთი დედაენა და ქართველური ცნობიერება. მათმა შთამომავლებმა — თურქეთის მოქალაქე რჩეულმა ქართველებმა — მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, გააცნობიერეს რა **ეთნიკური ასიმილაციის საფრთხე**, შეეცადნენ ქართველური ფესვების გაძლიერებას. შექმნეს ქართული დედაენა“ და ჟურნალი ჩვენებურები“; ინტენსიურად დაიწყეს ლაპარაკი თავიანთი ქართველობის შესახებ და ა.შ. ამ მოძრაობის სახე-სიმბოლომ, ახმედ მელაშვილმა-ოზქანმა — თავის შვილებს სახელებად დაარქვა **იბერია და თამარი**, ამიტომაც ვრცლად შეგვხვები თურქეთის მოქალაქე ქართველების ეთნიკური მეობის აღორძინების ცნობილი ლიდერის — ახმედ მელაშვილის — **სიმბოლურ ისტორიას**:

ბატონი ახმედი აქტიურად ეძიებდა კონტაქტებს დედასამშობლოსთან და ქართველებთან. მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც წესი, დადიოდა საქართველოს ის მოქალაქე, რომელიც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა²¹. საბჭოთა კავშირიდან თურქეთში ჩასულთა შორის ბ-ნი ახმედი პატრიოტ ქართველებს ეძებდა... იგი დაუახლოვდა თურქეთში მივლინებით მყოფ ქართველებს: პროფ. ოთარ გიგინეიშვილს, ამირან ცამციშვილს, გურამ გალოგრესა და სხვებს²². 1980 წელს რეაქციული ძალების (თურქი მემარჯვენე-რადიკელების? რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურების?)²³ მიერ დაქირავებულმა პირებმა მოკლეს ახმედ

²¹ იშვიათად, ათასში ერთხელ, დელეგაციებში ცნობილ მწერლებსა და დიდ მეცნიერებსაც ჩართავდნენ ხოლმე.

²² ნიშანდობლივი ფაქტი: 2009 წლის 17 ივლისს ბურსაში, ახმედ მელაშვილის ოჯახში სტუმრობისას, მისმა მეუღლემ, **ქალბატონმა იუქსელმამ**ითხრა, რომ ოთარ გიგინეიშვილი მათი დიდი მეგობარი იყო, მაგრამ არასოდეს მისულა მათ სახლში: ჩემს ქმარს ბატონი ოთარი სხვაგან ზვდებოდა სხვებისგან მალულად“.

²³ გასული საუკუნის 70-იან წლებში ახმედ მელაშვილი რამდენჯერმე ჩამოი-

მელაშვილი-ოზქანი და სასიკვდილოდ გაიმეტეს მისი ერთადერთი ვაჟი — იბერია მელაშვილი-ოზქანი. ამგვარმა მოწამეობრივმა სიკვდილმა უფრო გააძლიერა ახმედ მელაშვილი: დიდი ილია ჭავჭავაძის მსგავსად ეროვნული იდეებისთვის მოკლული ახმედ მელაშვილი **დღეს უცდომელი ორიენტირია** არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის.

მოკლედ მუჰაჯირ ქართველთა დიასპორების შესახებ:

შავი ზღვის სანაპიროზე (ფაცა — სინოპეს ზოლი) დასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობა დიდია, **დაახლოებით — 500 000**. დაახლოებით ამდენივეა ხენდეკი-ადაფაზარის რეგიონში; მაგ., მხოლოდ დუზჯეში 15 ათასი ქართველი ცხოვრობს. მათი უმრავლესობის ეთნიკური ვინაობა (იდენტობა) გაორებულია. საკუთრივ დუზჯეს (ქალაქის) ცენტრში ბევრი ქართველი ცხოვრობს. უშუალოდ ვილაიეთის ცენტრში (დუზჯეში) შემავალი ქართული სოფლებია: ასარი (Asar), გურჯუ ჩიფლიქი (Gürcü Çiftlik), დოდანლი (Doğanlı), ფინდიქლი აქსუ (Fındıklı Aksu), მუნჯურლუ (Muncurlu), მუსაბაბა (Musababa). აქჩაქოჯას რაიონში (Akçakoca ilçesin) შედის: მელენაღზი, (Melenagzi), შიფირი (Şıpir); ჩილიმლის რაიონში (Çilimli ilçesi): საკუთრივ ჩილიმლი, ჰიზარდერე (Hızardere); გოლიაქას რაიონში (Gölyaka ilçesin): ჰაჯი იაქუფი (Hacıyakup), ჰამამუსტუ [haji memed efendi] (Hamamüstü [Hacı Memed Efendi]); ქაინაშლის რაიონში (Kaynaşlı ilçesin): შიმშირი (Şimşir,), უჩქოფრუ

ყვანეს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებულ საქართველოში; ბუნებრივია, ეს ვერ მოხდებოდა მოსკოვის უმაღლესი ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ვფიქრობ, საბჭოთა სპეცსამსახურები შეეცადნენ, გადაებირებინათ ახმედ მელაშვილი; ამგვარი დაშვებას ამყარებს ფრიდონ ხალვაშის მემუარული ხასიათის რომანი — ომრი“, სადაც აღწერილია საქართველოში უკანასკნელად ჩამოსული ახმედის საოცრად მძიმე განცდები... დასაშვებია, რომ რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურებმა მოიშორეს კაცი, რომლის გადაბირება ვერ შეძლეს... შდრ., ხსენებული ამ უკანასკნელი სტუმრობის დროს ახმედ მელაშვილმა ბატონ ფრიდონს თითქმის ატირებულმა უთხრა: რა სამწუხარო საქართველოა დღესო, ვის ხელშია საქართველო. შენი თავი დამიმალეს: თბილისში მითხრეს, ხალვაში არაა ბათუმშიო. მე სხვას არავის დავალებარაკე, გავაცხადე, შემახვედრეთ ფრიდონს-მეთქი და მაინც წამოვაყვანიე ჩემი თავი... ბოლოს ასე თქვა: აქედან მოსკოვით პირდაპირ პარიზში ვაპირებ წასვლას, იქ უკეთეს ქართველებს ვნახავო... მას შემდეგ ახმედი აღარ მინახავს“ (ომრი“, გვ. 208; ფრიდონ ხალვაში, 2009 წლის 10 სექტემბერი: მე ვუთხარი ახმედს მაშინ, რა ბედნიერი ხარ, რომ შეგიძლია ევროპაში წასვლაო, ნეტაი, შენ“... მიპასუხა: ბატონო ფრიდონ, რა ვქნა, რით მოგეხმარო...

(Üçköprü)... პირადად მე დიალექტოლოგიური მასალა ჩავიწერე სოფელ **გურჯუჩიფლიკში**²⁴.

100 000-მდე ქართველი ცხოვრობს ინეგოლის მხარეში; ასევე, ბევრი ქართველი ცხოვრობს **ბურსის, გონენის, ამასიის**²⁵ **მხარეებში, ანკარისა და სტამბოლის** მიმდებარე დასახლებებში. აქვე აღვნიშნავთ:

ბოლო პერიოდში სწრაფად ძლიერდება თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირი ქართველების შთამომავლების დიასპორები; კერძოდ:

ახმედ მელაშვილის მკვლევლობის შემდეგ²⁶ ქართველთა თვითდაფინანსებით ქართული ენის სწავლების პირველი მცდელობა იყო 1999 წელს დუზჯეში, მაგრამ მხოლოდ ნახევარი წელი გაგრძელდა ეს კურსი²⁷.

²⁴ დუზჯეში 1989 წელს შეიქმნა ქართული კულტურის ასოციაცია (GÜRCÜ KÜLTÜR DERNEĞİ, 1998). ცენტრის თავდაპირველი სახელი იყო ბათუმის ქართველების კულტურის ასოციაცია“. პირველი ხელმძღვანელი იყო რეფიკ იუქსელი (Refik YÜKSEL). მისი ხელმძღვანელობითა და დიდი ღვაწლით ქართველთა ასოციაციამ ქალაქის ცენტრში საოფისე ფართი იყიდა და დააარსა ქართული ენის წერა-კითხვის კურსები; აქვე დაიწყო ართვინული ხალხური ცეკვების სწავლება. — დუზჯელ ქართველებში ქართული ენის ცოდნის აღდგენა (ძველ მდგომარეობაზე ასვლა“);

- დუზჯეში ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობა;
- საქართველოსთვის მუსლიმანური ქართული კულტურის გაცნობა;
- თურქი პოლიტიკოსებისა და ხალხისთვის თურქეთის მეგობარი და ახლო მეზობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობის წარმოჩენა;
- დუზჯეში მცხოვრები კავკასიელი ხალხებისთვის — ქართველების (გურჯებისა და ლაზების), აფხაზების, ადიღელების, ყაზარდოელებისა და სხვებისთვის — საერთო წარმომავლობის გაგებინება და მათი გაერთიანება. სამწუხაროდ, დუზჯეშიც არიან სხვა მიზნის მქონე პირები; კერძოდ, ზოგს სურს, განახორციელოს რეაქციული ძალების გეგმა და მუჰაჯირთა შთამომავლებს უქადაგებს, რომ ისინი, აჭარელი მუჰაჯირების შთამომავლები, ქართველები არ არიან, რომ აჭარელი სხვაა, ქართველი სხვა. მსგავსი მიზანი აქვთ რუსი პოლიტიკოსების ნაწილსაც, რომლებიც ცდილობენ ინფორმაციის არმქონენე საზოგადოება დააჯერონ, რომ აჭარელი, მეგრელი, სვანი, მესხი, ხევსური, თუში... ქართველი არ არის; რომ ქართველი სხვაა, მეგრელი თუ თუში სხვა და ა.შ.

²⁵ ცხოვრობენ ხულოდან და მაჭახლიდან გადმოსახლებული მუჰაჯირების შთამომავლები; კერძოდ, ამასიისთან 50 კმ. ფარგლებშია მაჭახლიდან წამოსულთა სოფლები: ბელდაღი/Beldağı (100 კომლი), იუვა/Yuva (50 კომლი), ჩათალჩა/Çatalça (50 კომლი), ულუფუნარი/Ulupınar (15 კომლი), გურჯი დარამა/Gürcü Darama ანუ დარამადერესი (თექვიდან რიგდება გზა ამ სოფლისკენ; 20 კილომეტრია აქედან; ცხოვრობენ მაჭახლის ეფრატიდან წამოსულები“). ამასიიდან სხვა მიმართულებით 30 კლომეტრშია ქართული სოფლები: ჩივიქიო/Çiviköyü და აქიაზი/Akyazi.

²⁶ მკვლევლობის მოტივებისათვის იხ., ასევე: <http://www.chveneburi.net/ka/default.asp?bpgid=1494>

²⁷ Derneklerde Gürcüce Kursu, <http://www.gurcu.org/turkiye-de-gurcuce-ogreniminin-gecmisi-ve-bugunku-durumu-icerigi-210.html>

დღეს მოქმედ ცენტრთაგან უწყვეტად ფუნქციონირებს სტამბოლში, თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციაში 2007 წელს გახსნილი ქართული ენის სასწავლო კურსი.

ქართული სათვისტომოების დაფინანსებით კურსები ასევე, ამოქმედებულია: სტამბოლში (2010), ინეგოლში (2011, 2014), ანკარაში (2012), დუზჯეში (2014).

პარალელურად, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ქართული ენის სწავლების კურსები გახსნა ქოჯაელში /იზმითში/ (2010 წ.), საქარიაში (2011 წ.).

ამავე დროს თურქეთის ხელისუფლებამ ქართული ენა შეიტანა იმ უცხო ენების ჩამონათვალში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული...), რომელი ენის ფლობაც გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირსა თუ საჯარო მოხელეს. ეს ფაქტიც ხელს შეუწყობს ქართული ენის პრესტიჟის ამაღლებას.

2011 წელს თურქეთის ხელისუფლებამ აამოქმედა სახელმწიფო პროგრამა: ადგილობრივი ენები და დიალექტები, რომლის მიზანია საჯარო სკოლებში არჩევით ენებად სწავლებით ეთნიკური უმცირესობების დედაენებისა თუ დიალექტების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, გადარჩენა და უმცირესობების ენობრივი იდენტობის დაცვა; კერძოდ, 2011-2013 წლებში საჯარო სკოლებში არჩევით კურსებად შეიტანეს: ქურთული ენა, აფხაზური ენა, ჩერქეზული ენა... 2014 წელს კი დამტკიცდა ქართული ენის სწავლების პროგრამაც.

თუმცა, პარალელურად, მუსლიმანური რწმენის მქონე თურქეთის მოქალაქე ქართველთა ერთი ჯგუფი ცდილობს, საქართველოში გაავრცელოს ქართულენოვანი მუსლიმანური ლიტერატურა; ისინი ამბობენ, რომ რადგანაც ქართულენოვანი მართლმადიდებლური კულტურის გვერდით არსებობს ქართულენოვანი კათოლიკური ლიტერატურა, შეიძლება იარსებოს ქართულენოვანმა მუსლიმანურმა ლიტერატურამაც... ფაქტია, რომ დღემდე არ შექმნილა მუსლიმანური ქართულენოვანი ლიტერატურა. არ გამოირიცხება, რომ სწორედ თურქეთში, სადაც მილიონობით ქართველი ცხოვრობს, შეიქმნას ქართულენოვანი მუსლიმანური ლიტერატურა დაამ გზითაც შეეწყოს ხელი თურქეთის ქართველობაში ქართული ენის გადარჩენას, მაგრამ დასახელებული ჯგუფი ზოგი აქაური ქართველის ხელშეწყობით **საქართველოში**

უფროცდილობს მუსლიმანობის ხელახლა გავრცელებას, ვიდრე თურქეთში ქართული ენის გადარჩენას... ყველას აქვს უფლება, იზრუნოს საკუთარი რელიგიის გავრცელებაზე თუ თავისებურად იმსჯელოს ქართველობის გადარჩენის პერსპექტივაზე, თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ეროვნულ თუ ეთნიკურ მეობას დედაენის მიხედვით შექმნილი ტრადიციული მხატვრული ლიტერატურა (მაგ., რუსთაველის ვეფხისტყაოსანი“, ილიას აჩრდილი“, აკაკის გამზრდელი“, ვაჟას სტუმარ-მასპინძელი“, ყაზბეგის ელგუჯა“, გალაკტიონის ქარი ქრის...“ და სხვ.) უფრო აყალიბებს, ვიდრე არაბულენოვანი რელიგიური ნორმებითარგმანები; გარდა ამისა, **გარკვეული ძალების მცდელობა, საქართველოში ხელახლა გაავრცელონ მუსლიმანობა, ხელს უწყობს საქართველოში ანტითურქული განწყობის გაძლიერებას და ზრდის პერსპექტივას, კავკასიის რეგიონში ისევ გაძლიერდეს რუსეთის იმპერია...** ვფიქრობ, ეს რთული გასაგები არ უნდა იყოს თურქეთის ხელისუფლებისთვისაც; შესაბამისად, საქართველო-თურქეთის გრძელვადიანი სტრატეგიული მეგობრობის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყობს ხელს თურქეთში ქართული ენის, ზოგადად, ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისათვის თურქეთის ხელისუფლების ზრუნვა²⁸ და ორივე ქვეყნის მოქალაქე ე.წ. რელიგიური მისიონერების²⁹ მიერ ორივე მხრიდან შექმნილი პრობლემების სწორად გააზრება.

დედაენა და იდენტობა.

თურქეთში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა და მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის მსგავსი ქვეჯგუფები გამოიყოფა დედაენო-

²⁸ ქართული ეთნიკური ჯგუფი არავითარ საფრთხეს არ უქმნის თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფო ინტეგრესებს; პირიქით: **თურქეთის მოქალაქე ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა თურქეთის პატრიოტები არიან.**

²⁹ თურქეთში ამჟამად არსებული ისტორიული ქართული ეკლესიების აღდგენის სურვილი არ უნდა ჩაითვალოს ქართველთა მისიონურ მცდელობად“. ცნობილია, რომ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ქართული ეკლესია სრულიად იქნა დანგრეული; მათი აღდგენა შეუძლებელია და ამას არც არავინ ითხოვს, მაგრამ დღეს ორივე ქვეყნის დიდი კულტურული მემკვიდრეობაა დღემდე მოღწეული: **ხახული, პარხალი, ოშკი, იშხანი, ოთხთა, დოლისყანა** და სხვა; ასევე, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობად უნდა ჩაითვალოს დღემდე შემორჩენილი **ქველი მეჩეთები**; შდრ.: თურქეთში ახალი ეკლესიების, საქართველოში კი ახალი მეჩეთების აგების საჭიროება უნდა გადაწყდეს მოცემული სახელმწიფოების ხელისუფლებების მიერ.

ბრივი, ეთნიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის მიხედვით. ბოლო დრომდე ორივე ჯგუფის ქართველებისათვის უმთავრეს პრობლემად რჩებოდა ახალი თაობის მიერ ქართული ენის, როგორც დედაენის, დავიწყება მისი არაპერსპექტიულობისა და არასაჭიროების გამო³⁰. ამგვარ ხედვას აყალიბებს ორი არსებითი გარემოება:

- თურქეთის მოქალაქე ქართველები მხოლოდ საკუთარ დიალექტს ფლობენ და მათთვის უცნობია ქართული ენის 24-საუკუნოვანი კულტურული ისტორია და ქართული ენის, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების ენაც; შესაბამისად, ასეთი ინდივიდებისათვის დედაენობრივი იდენტობა არაპერსპექტიულია;
- ბოლო დრომდე თურქეთში ქართული ენა წარმოდგენილი არ იყო პრესტიჟულ უცხო ენათა ჩამონათვალში.

ენობრივ-ეთნიკური იდენტობის თვალსაზრისით თურქეთში მცხოვრები ქართველური წარმომავლობის ადამიანები **შვიდ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:**

1. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე ქართველური წარმომავლობის მოქალაქეები**, რომლებსაც არ ახსოვთ არც ისტორიული დედაენა³¹, არც წარმომავლობა და თავს ეთნიკურ თურქებად აღიქვამენ³²; მათ თავიანთ დედაენად თურქული მიაჩნიათ. ამ პირთა **ეროვნული თვი-**

³⁰ მეტიც, ბოლო 20-30 წლის მანძილზე ბევრ ეთნიკურ ქართველს შეგვხვდი, რომელიც საჭიროდ არ თვლის ქართულის ცოდნას.

³¹ **ისტორიული დედაენა — ეთნიკური წინაპრების კულტურის ენა**; ამ შემთხვევაში ვარძელვებთ **გ. რამიშვილის** შემდეგ მსჯელობას: დედაენა ხალხის ენაა და არა უთუოდ მშობლის ენა; დედაენა ენობრივი სოციუმის თვისებაა და არა ინდივიდისა [რამიშვილი, 2000: 70]; შდრ.: **დედაენობრივი კულტურა ეროვნული შემოქმედებაა**; მაგალითად, ქართველურ სინამდვილეში: **ქართული სამწიგნობრო ენა შექმნილია საერთოქართველური ენობრივი მოდელის ბაზაზე**; გარდა ამისა, ქართველური სამწიგნობრო კულტურა თვისობრივად ერთგვარად იქმნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში; შესაბამისად, სხვადასხვა კუთხის ქართველთა (მეგრელთა, ლაზთა, აჭარელთა, მესხთა, სვანთა, ხევსურთა, ტაოელთა, კახელთა, ინგილოთა, ფერეიდნელთა, თუშთა, იმერელთა...) დედაენა ქართულია, უმწიგნობრო საოჯახო ვარიანტი კი — დიალექტი. თურქეთელ ქართველთა შესახებ საინტერესო მასალებისათვის იხ., შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

³² ამ შემთხვევაში ქართველურ წარმომავლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვლაპარაკობ, თუკი დგინდება, რომ პირი ცხოვრობს წინაპრების სოფელში, სადაც მიკრო-ტოპონიმია ქართულია და ისტორიულადაც ეს სოფელი ქართულად ითვლება.

თაღქმა ხდება არა მოქალაქეობის, არამე დ ეთნიკური/თურქული (არაიშვიათად რელიგიური) ნიშნით³³.

2. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომლებიც ფლობენ **ისტორიულ დედაენას (მის რომელიმე კილოს)**³⁴, მაგრამ თავს მაინც ეთნიკურ თურქებად თვლიან; მათთვის უცნობია ქართული კულტურა; შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ ბავშვობის ენა (ქართველური მეტყველება) არაპრესტიჟული მეორე (/მესამე) ენაა. ამ ჯგუფის ქართული წარმომავლობის პირები დედაენად თურქულს მიიჩნევენ და ცდილობენ, **საოჯახო ენადაც** თურქული დაიმკვიდრონ. მათ არ ხიბლავთ **ეთნიკურ უმცირესობად** ყოფნა.

3. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომელთათვის საოჯახო ენა ქართულია (რომელიმე ქართველური კილოა), მაგრამ შვილებისთვის განათლების ენად ირჩევენ, მათი აზრით, უფრო პრესტიჟულ თურქულს (ინგლისურს, გერმანულს)... იციან, რომ წარმოშობით ქართველები არიან, მაგრამ ბევრი არაფერი იციან ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ; ძირითადად აღზრდილნი არიან თურქული კულტურის მიხედვით; შესაბამისად, უფრო უიოლდებათ იდენტიფიცირება თურქულ კულტურასთან. ყველა სხვა ქართველური წარმომავლობის ჯგუფის მსგავსად, სახელმწიფოებრივი თვითშეგნება თურქული აქვთ, მაგრამ მათი ეთნიკური

³³ ზოგადად, საკუთარ სამშობლოს მოწყვეტილი და სხვა ეთნოსის დომინანტობით დაარსებულ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანისათვის თანდათანობით შორეული ხდება ეთნიკური ისტორია. ეთნიკურ ფესვებთან გაუცხოებას რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს:

- მწირი ობიექტური ინფორმაცია მისი მოდემის ენობრივ-კულტურული წარსულის შესახებ;
- მშობლიურ ველს მოშორება და დამხვდური საზოგადოების ცხოვრების წესზე ანგარიშის გაწევის აუცილებლობა;
- ახალ გარემოში ადაპტაციის სურვილი კარიერული წარმატების გამო;
- მიმღები სახელმწიფოს განსხვავებული მოქალაქეობრივი და რელიგიური მსოფლადქმა;
- უცხოენოვან საზოგადოებაში ეთნიკური მეობის დაცვისათვის საჭირო შინაგანი რესურსების სიმწირე...

³⁴ **დედაენის ფლობა** — ეროვნული (ეთნიკური წინაპრების) სამწიგნობრო ენის, ან მისი რომელიმე ზეპირი სახესხვაობის (დიალექტის, კილოკავის) ცოდნა.

თვითაღქმა გაორებულია.³⁵ ისინი თურქეთში თავს მაინც **ეთნიკურ უმცირესობად** თვლიან, მაგრამ ცდილობენ, მათი შვილების **ეთნიკური თვითობა** (იდენტობა) მაინც არ იყოს გაორებული.

4. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომელთაც შეიძლება დავიწყებული ჰქონდეთ ქართველური ეროვნული კულტურის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი მახასიათებელი (ისტორიული დედაენა, დედარელიგია, წეს-ჩვეულებები...), **მაგრამ თავს მაინც გურჯებად — ქართველებად**³⁶ აღიქვამენ საკუთარი წარმომავლობისა და წინაპრების კულტურის **ცოდნის** გამო. ამ ჯგუფის წევრებიც თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტებიც არიან და ამავდროულად, ცდილობენ დაიბრუნონ წინაპრების ყველა ლინგვოკულტურულ-ეთნიკური მახასიათებელი; კერძოდ:

- ცდილობენ, ისწავლონ დედაენა და ქართული სამწიგნობრო კულტურა;
- ესწრაფვიან, აღიდგინონ (შენარჩუნონ) მამაპაპისეული წეს-ჩვეულებები, საქართველოში მოიძიონ ნათესავები, დაუნათესავდნენ სხვა ქართველებს, ააგონ ქართული სახლი სოფლად და სხვ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ამ ჯგუფში გაერთიანებული ქართველური წარმომავლობის პირები ცდილობენ, სხვებთან საუბარში ხაზი გაუსვან მათში წარმოდგენილ რაიმე ანთროპოლოგიურ ან ეთნოკულტურულ ნიშანს: ცხვირის ფორმას, თვალების ფერს, ეროვნული კერძების ტრადიციას, ცეკვის სტილს და სხვ. რაც მთავარია, **თურქეთის ქართველობის** ეს ნაწილი ინტენსიურად ცდილობს, დაბრუნდეს მსოფლალქმის დედაენობრივ ველში და ამ გზით სრულყოს თავისი, როგორც ქართველის, ეთნოკულტურული მეობა.

³⁵ შდრ., მომდევნო ჯგუფი, რომელსაც წევრებსაც უფრო ნაკლები ეთნოკულტურული მახასიათებლები აქვთ შემონახული, მაგრამ მაინც მკვეთრად გამოხატული ქართული ეთნიკური თვითშეგნება აქვთ.

³⁶ თურქეთის ქართველობაში ტერმინ **გურჯს** ორი მნიშვნელობა აქვს: ფართო გაგებით ის ყველა **ქართველს** მოიცავს, ვიწრო გაგებით კი მხოლოდ **მუსლიმან ქართველს**; შდრ., ტერმინ ქართველის ორგვარი გაგებაც: ქართველი — ყველა რელიგიის ეთნიკური ქართველი; ქართველი — ქრისტიანი ქართველი (შდრ.: გურჯი — მუსლიმანი ქართველი); **[ქართველ—** ფუძის შესახებ მსჯელობისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ფუტყარაძე, ქართველები, 2005: 175-178].

აქვე ისმის კითხვა:

- რა არის ის, რაც განასხვავებს ამ ჯგუფის პირებს წინა ჯგუფისგან? უფრო ზუსტად:
- რა განაპირობებს ამ ჯგუფის ქართველების ამგვარ თვითაღქმას წინა ჯგუფის ადამიანთა თვითაღქმისგან?

თურქეთის ქართველობასთან მრავალწლიანი უშუალო თანაცხოვრების პირობებში მიღებული გამოცდილების შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ **ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი არის განათლება**; კერძოდ, ვისაც გაცნობიერებული აქვს ქართული კულტურის პრესტიჟულობა, მისთვის თავსებადი და საამაყო თურქული სახელმწიფოებრივი და ქართული ეთნიკური თვითშეგნება.

მიუხედავად **განათლების** ფაქტორის სიძლიერისა, ზოგ შემთხვევაში უფრო არსებითია სხვა ტიპის მახასიათებელი: **ძლიერი პიროვნული ხასიათი**; კერძოდ, არაიშვიათია ასეთი შემთხვევა: თურქეთის მაღალმთიან ქართულ სოფელში, ან სტამბოლში გვერდიგვერდ ცხოვრობს ერთნაირი განათლების მქონე ქართული წარმომავლობის **თურქეთის ორი მოქალაქე**; ერთის ეთნიკური თვითშეგნება გაორებულია, ან თურქულია, მეორისა კი — ქართული. ჩემი დაკვირვებით, თვითიდენტიფიკაციის დროს განმსაზღვრელია **ძლიერი პიროვნული ხასიათი**: ყველა ადამიანისთვის რთულია, სხვა ერის ენისა და კულტურის დომინანტობით შექმნილ საზოგადოებაში დაიცვას ეთნიკური მეობა (იდენტობა); კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ერთი პიროვნება ცდილობს სრულ ინტეგრაციას თურქულ გარემოში, მეორე კი, არის რა თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტი, ამავდროულად ესწრაფვის შეინარჩუნოს (ან აღიდგინოს) წინაპრების ენობრივ-ეთნოკულტურული მახასიათებლები; მას ურჩევნია თურქეთში იყოს ისეთი უმცირესობა, რომელიც ცივილიზებული მეთოდებითა და ფორმებით წარმოაჩენს საკუთარ ეროვნულ მეობასა და ღირსებას³⁷.

³⁷ ერთი შეხედვით, საკუთარი ისტორიული იდენტობის დაცვაზე უფრო შეიძლება ორიენტირებული იყოს მხოლოდ ისეთი პიროვნება, რომელიც კონცენტრირებულია შინაგან სამყაროზე (მღრ., ინტროვენტის ხასიათი), მაგრამ ჩემი დაკვირვებით, მოცემულ გარემოში წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანებიც (ექსტროვენტები) და ინტროვენტებიც ორ ჯგუფად იყოფიან: ძლიერი ნებისყოფის მქონე, ნიჭიერი და სამართლიანობაზე, მორალზე ორიენტირებული პიროვნება, რაც არ უნდა ესწრაფოდეს კარიერისტულ წინსვლას, ლიდერობასა თუ მატერიალურ კეთილდღეობას, მაინც ინარჩუნებს ეთნიკურ მახასიათებლებსაც

შდრ., სულ სხვაგვარია თურქეთის მოქალაქე **ქურთთა განწყობა**: ერთნი სრულად არიან გათურქებულნი, მეორენი კი ებრძვიან თურქეთის სახელმწიფოს.

5. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები (აჭარელ, ლაზ, შავშელ, ტაოელ... მუჭაჯირთა შთამომავლები)**, რომლებიც ფლობენ ერთ-ერთ ქართველურ კილოს და რომელთათვისაც ისტორიული დედაენა – ქართული სამწიგნობრო ენა – ეროვნული ენაა³⁸; შესაბამისად, ასეთი პიროვნებები თავს ნამდვილ ქართველებად აღიქვამენ. უახლოეს წარსულში მათ ნაწილს საქართველოს შესახებ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა; მეტიც, მათ გარდა სხვა თუ იყო ქართველი, ესეც კი ვერ წარმოედგინათ.

ჩვენ მიერ ამ ჯგუფში გაერთიანებული ქართველები დღეს ინტენსიურად ცდილობენ შეივსონ დანაკლისი, რომელიც მათ აქვთ წინაპრების წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის ცოდნის თვალსაზრისით. ქმნიან ქართულ კულტურულ ცენტრებს, საინტერნეტო რადიოებსა თუ გაზეთებს და ა.შ.

შეგვიძლია ვთქვათ: თურქეთის მოქალაქეების ამ ნაწილში დღეს ქართული კულტურული ცხოვრება. ისინი საქართველოს მკვიდრი პატრიოტი ქართველების მსგავსად (თუ მეტად არა!) ქომაგობენ საქართველოს სახელმწიფოს მიმდინარე გეოპოლიტიკურ ომებში; ამავდროულად, არიან თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტები. მათ ამგვარ განწყობას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა და საქართველოს სახელმწიფო თვი-

და წარმატებას აღწევს ახალ გარემოშიც; შედარებით სუსტი კი აიგნორებს ეთნიკურ წარსულს და მთელ სასიცოცხლო ენერჯიას ახმარებს ადაპტაციასა და კარიერას; ასევეა ინტროვერტის შემთხვევაშიც: საკუთარი სამყაროსკენ მიმართული პირი თუკი სუსტი პიროვნებაა, ნოსტალგიით კვდება – ვერ ინარჩუნებს (საკუთარ მემკვირვებს ვერ უნარჩუნებს) ეთნიკურ მეობას, ანდა, მხოლოდ ინდივიდუალურ ნაჭუჭში იკეტება და ამ გზით წყდება ეთნიკურ-ეროვნულ სამყაროს; შდრ.: ძლიერი ინტროვერტი ეროვნულ-ეთნიკური მიმართულებით ღრმადდება და სამეცნიერო, შემოქმედებითი თუ საგანმანათლებლო საქმიანობით აზრს აძლევს, იხანგრძლივებს ამქვეყნიურ სიცოცხლეს.

³⁸ მათთვის თურქული სახელმწიფო ენაა [ეროვნული და სახელმწიფო ენების გამიჯვნისათვის იხ., მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ. 2005, გვ. 131-138.

სობრივად ერთგვარადაა ორიენტირებული დასავლურ გეოპოლიტიკურ ველსა თუ ღირებულებებზე.

ნ. თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე ქართველური წარმომავლობის მოქალაქეები, რომელთაც იციან, რომ თურქები არ არიან, მაგრამ არც ქართველებად თვლიან თავს; აქ ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

- ქართველური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც ფლობენ დედაენის ერთ რომელიმე კილოს (იმერხეულს, აჭარულს, ტაოურს, ლივანურს...), მეტნაკლებად ინარჩუნებენ ეთნოკულტურულ (ყოფით) მახასიათებლებს და საკუთარ თავს გურჯს უწოდებენ; მიუხედავად ამისა, რელიგიური და ენობრივი სხვაობის გამო, ესენი საკუთარ გურჯობას არ აიგივებენ ქართველობასთან; კერძოდ, მიიჩნევენ, რომ საქართველოს ქართველები სხვა კულტურისა და ენის მფლობელები არიან; აღიარებენ მათთან ნათესაობას, მაგრამ არა იგივეობას. ესენი აცხადებენ, რომ **მათ არ ესმით საქართველოს ქართველთა ენა** (სიტყვების დიდი ნაწილი უცნობიაო, ლაპარაკიც ისე ჩქარია, რომ ვერ ვიგებთო და მისთ.).
- ქართველური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც ფლობენ ქართული ენის ლაზურ კილოს, მაგრამ ჰგონიან, რომ ეს მეტყველება სხვა ენაა. გარდა ამისა, ქართული კულტურის ლაზურ ნაირსახეობას დამოუკიდებელ კულტურად აღიქვამენ და ლაზთა ისტორიასაც საქართველოსგან დამოუკიდებლად განიხილავენ.

ვფიქრობთ, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს იცოდეს:

- კოლხური (კოლხურ-ყოზანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ თავისი არსით დიდი ქართველური (ზოგადქართული ანუ კოლხური) სახელმწიფო ოცნე მეტ ქართველურ თემს, მათ შორის, ლაზების წინაპრებსაც აერთიანებდა; ქუჯ-ფარნავაზის მიერ აღორძინებული და ფაქტობრივად დღემდე მოღწეული ქართული სახელმწიფოც ლაზ-მეგრელების მიერაცაა აშენებულ-შენარჩუნებული.

- ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.
- საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრული წარმომობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, ჭყონდიდლები და სხვა);
- ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს — თამარს; ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი.ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი³⁹. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაზები აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1908 წელს ხოფაში შექმნილი ლაზური კომიტეტი“, რომელსაც მეტაფორადა ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი (მ. ლაბაძე).

ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის ლაზთა თვითაღქმისათვის.

შენიშვნა: ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს/ერთობას, ბუნებრივია, ლაზებსაც აქვს უფლება, იცოდეს თავიანთი წარმომავლობა. სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპაში მცხოვრები გარკვეული პირებიც ცდილობენ ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობად გამოაცხადონ და ამ გზით დიდ ისტორიულ სამწიგნობრო კულტურას მოსწყვიტონ ქართველთა ერთი ნაწილი. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთის მო-

³⁹ ყველა კუთხის ქართველთ ჰგონიათ, რომ თამარ მეფე მათ კუთხეშია დაკრძალული; ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ამჟამინდელ ხოფას მკვიდრთა (ქემალფაშელთა) გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, თამარ მეფე დაკრძალულია მაკრიალის (ქემალფაშას) ტაძარში [ვრცლად იხ., ფუტკარაძე, 2005: 51]; იხ., აგრეთვე, მ. ლაბაძე, ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005, გვ. 225: თურქეთის ლაზთა ფოლკლორში თამარ მეფე მიჩნეულია ლაზ გვირგვინოსანად... ლაზეთში თითქმის ყველა ძველ ციხის, ხიდისა თუ სალოცავის აგება თამარ მეფეს /“მაფაწულე თამარას“/ მიეწერება... ლაზთა გადმოცემით, მაფაწულე თამარა დასაფლავებულია მათ სოფელში; მაგ., ხოფელ მემედ-ალი ვეზიროღლუს აზრით, თამარ მეფე დასაფლავებულია სოფელ ნორედში; ართაშენელი მეელი კუიუმჯოს აზრით კი თამარი დასაფლავებულია ართაშენის ახლოს...”

ქალაქე ეთნიკურ ქართველებს ამ უფლებებს ანიჭებს ევროსაბჭოს ისტორიული დოკუმენტები: ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“ (1992 წლის 5 ნოემბერი, სტრას-ბურგი) და ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (1995 წლის 1 თებერვალი). შდრ.: კონვენციისა და ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია: **უმცირესობის ენაზე საქმისწარმოება და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში...** იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის I. ე. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე“.

იხ., აგრეთვე: ქარტიის მე-8 მუხლის I.ზ. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს რეგიონალური ან უმცირესობის ენა⁴⁰.

7. ამ ჯგუფში გაერთიანდებიან თურქეთში უკვე მუდმივად მცხოვრები ქართველები, რომლთაც ახლახან მიიღეს თურქეთის მოქალაქეობა (ან მალე მიიღებენ). მიუხედავად იმისა, რომ მათი ეროვნული და ეთნიკური თვითშეგნება ჯერჯერობით უგამონაკლისოდ ქართულია⁴¹, ისინი საზოგადოებრივი (ეთნოკულტურული თვალსაზრისით) აქტიურობით არ გამოირჩევიან.

თვითიდენტიფიცირების მიმართულებით მთავარი მაინც დედაენის ფლობა, ზოგადად, დედაენობრივი განათლებაა არსებითი; შდრ.: მეტნაკლებად ყველა ადამიანს აწუხებს კითხვა: ვინ ვარ? საიდან მოვდივარ“; ნორმალური განათლების სისტემა საკუთარ სამშობლოში ნათლად სცემს პასუხს ამ კითხვას, ამიტომ თავს **ქართველად** აღიქვამს და გაორებული არ იქნება საქართველოში აღ-

⁴⁰ ლაზთა იდენტობისათვის იხ: ტ. ფუტკარაძე, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, თბ., 2009; <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>.

⁴¹ არაიშვიათია (განსაკუთრებით ევროპაში) ეროვნული თვითშეგნება სახელმწიფოს მოქალაქეობის და არა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.

ზრდილი და განათლებამიღებული ლაზი, იმერელი თუ კახელი; მიგრირებულ პირს კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რომ შეძლოს მიმღებ სახელმწიფოში ინტეგრირებაც და შეინარჩუნოს/ალიდგინოს წინაპრებისგან გადმოცემული ეროვნულ-კულტურული იდენტობაც. ახალ სახელმწიფოში ადაპტაცია შედარებით იოლია წინაპრებთან ენობრივ-ეროვნულ კავშირზე უარის თქმის პირობებში (მაშინ, როცა პიროვნება საზოგადოებრივ თვითიდენტიფიკაციას ახდენს მოქალაქეობის მიხედვით); თუმცა ასეთ შემთხვევაში მიგრირებული ქართველისთვის (თუ მისი მემკვიდრისათვის) გარეგნულად დაფარულ, მაგრამ მოურჩენელ იარად დარჩება კითხვა: ვისი გორისა ვარ?... პიროვნებაში კულტურული და სოციალური ფაქტორების ჭიდილი“ თურქეთის ქართველებშიც აქტიურად ჩანს; მაგალითად, შვილის განათლების/კულტურის ენის არჩევისას **თანაბარი მატერიალური შესაძლებლობების** მქონე მშობლებში სამგვარი არგუმენტაცია ფიგურირებს:

- ჩემმა შვილმა უნდა იცოდეს წინაპრების ენა და კულტურა!“
- თურქეთში რაში გამოადგება ჩემს შვილს ქართული განათლება“?
- კარგია წინაპრების ენის ცოდნა, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ“...

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობ, ნათელია, რომ საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობასა და სტრატეგიულ პარტნიორობას დიდად შეეწყობა ხელი, თუკი თურქეთში გადარჩება ქართული ენა და აღორძინდება ქართველთა ენობრივ-ეთნიკური მეობა (თვითობა). ამ მხრივ ჯერ ბევრი რამეა გასაკეთებელი. განსაკუთრებით საშურია თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების დაშვება. დღევანდელი მონაცემებით ქართული ენა, როგორც სასკოლო არჩევითი კურსი, მხოლოდ ორ სოფელშია არჩეული: საქარის ვილაიეთის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს საშუალო სკოლაში (მასწავლებელი: მუსტაფა კოლათი/კოლოტაშვილი) და ბორჩხის რაიონის მურღულის თემში. თურქეთის მოქალაქე ქართველებში ჯერ კიდევ არსებული ე.წ. “შიშის ფაქტორის“ მოხსნის შემდეგ, ვფიქრობ, ყველა იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც ეთნიკური ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, გაჩნდება მოთხოვნა, სკოლაში ოფიციალურადაც

ისწავლონ დედაენა. ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში თურქეთის ხელისუფლება დადგება ქართული ენის მასწავლებლების დეფიციტის წინაშე, თუმცა, ეს პრობლემაც გადაჭრადია, რამდენადაც დუზჯეს, რიზეს, არდაჰანისა და ყარსის უნივერსიტეტებში უკვე დაწყებულია ქართული ენის სპეციალისტების მომზადება. აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული ენის მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვარმდე, კარგი იქნება, თურქეთის ხელისუფლებამ სკოლაში მასწავლებლობის უფლება მისცეს საქართველოს მოქალაქეებსაც.

ქართული ენის, როგორც საუნივერსიტეტო თუ სასკოლო კურსის დამკვიდრება თურქეთში გადაარჩენს ქართულს, როგორც კულტურულ მემკვიდროებას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ქართველთა ადგილობრივი (ტერიტიურული) დიალექტების შენარჩუნებას. უმწერლობო ენებისა თუ დიალექტების გადარჩენა მსოფლიოს ყველა ხალხის პრობლემაა. **ამ მიმართულებით თურქეთისა და საქართველოს სამეცნიერო წრეებისა თუ ხელისუფლებების მიერ შეიძლება განხორციელდეს ორი ტიპის აქტივობა:**

- თურქი და ქართველი მეცნიერების მიერ უნდა განხორციელდეს ერთობლივი ექსპედიციების ქართველური დიალექტური ლექსიკის ფიქსირებისა და ქართველური დიალექტური ტექსტების მომცველობითი კორპუსის შესაქმნელად;
- ქართული ენის სასკოლო კურსის პარალელურად უნდა შემუშავდეს დამატებითი სამუშაო წიგნი (*ირვეული*), რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც, სამწიგნობრო ქართულის მონაცემების პარალელურად დააფიქსიროს თავისი კუხური მეტყველების (აჭარულის, ლივანურის, მაჭახლურის, ტაოურის, იმერხეულის... ლაზურის) ლექსიკური ერთეულები თუ დიალექტური ფორმები.

წარმოდგენილი ვრცელი მასალა და ანალიზი ცხადყოფს:

თანამედროვე თურქეთის ენობრივ-კულტურული მოზაიკაში გამოკვეთილად საინტერესოა ქართული წახნაგი, მაგრამ თურქეთში მცხოვრები ქართველების ენასა და ეთნიკურ კულტურას გაქრობის საფრთხე ელის და მისი გადარჩენისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. **თურქეთში მცხოვრებ ჩემს ნაცნობ ქართველთა თითქმის არც**

ერთ ფრთას არ სურს ქართველობის დაკარგვა⁴², არც სხვათა რადიკალურ-ტერორისტული ჯგუფების საქმიანობა მოსწონთ: ყველა ქართველი (ვისთანაც მე მქონია შეხვედრა) ცივილიზებული გზით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ქართული ეთნიკური იდენტობა (მეობა) და ამავე დროს, დიდად ეამაყება თურქეთის მოქალაქეობა — სახელმწიფოებრივი ღირსების განმსაზღვრელი ფენომენი, შესაბამისად, **განათლებასა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებას მხოლოდ დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს:**

ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; კერძოდ, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული. მეტად დინამიურ თანამედროვე სამყაროში დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია, რომ ჩვენ, განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა... შევძლოთ ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელება. საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჭერებულ ობიექტურ კვლევათა შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, ისარგებლოს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსულის ცოდნის უფლებით.

ამავე დროს, ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობა გაზრდის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემას და, რაც, ჩვენი აზრით, არანაკლებ არსებითია, ყოველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობებისათვის, შექმნის ობიექტური თვითაღქმისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს.

აუცილებელია, ასევე, თურქეთის ხელისუფლებამ იზრუნოს თურქეთის ტერიტორიაზე დაარჩენილი იმ ქართული ეკლესიებისა და ციხეების აღსადგენად, რომლებიც ახლა თურქეთის სახელმწიფოს სიმდიდრეს წარმოადგენს და მძლავრ ტურისტულ ბაზას ქმნის; ამ მხრივ, მისასალმებელია ტბეთის ეკლესიის აღდგენის შესახებ ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის მიერ დაწყებული მსჯელობა, რომელსაც დადებითად უპასუხა ადგილობრივმა ხელისუფლებამ:

⁴² აქვე უნდა ითქვას, რომ მრავალფეროვანია ქართველობის განსასაზღვრი კრიტერიუმი: ზოგისთვის მხოლოდ სისხლია ქართველობის კრიტერიუმი; ზოგისთვის: სისხლი, ცეკვა და სამზარეულო (თუნდაც ღვინის დაღვევის კულტურა); ზოგისთვის: სისხლი, ცეკვა, სამზარეულო და ქართული ენა; ზოგისთვის: სისხლი, ცეკვა, სამზარეულო, ქართული ენა, ისტორიული კულტურა (ეროვნული და ეთნიკური მეობა წაეშლება მხოლოდ უსახურ და უსუსურ საზოგადოებას).



ვეფქრობ, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობა მომავალში უფრო მეტ ღია და დემოკრატიულ სივრცეს შექმნის, რათა საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებმა ისარგებლონ თავიანთი უფლებებით: სახელმწიფოებრივ ისტორიასთან ერთად უკეთ იცოდნენ საკუთარი ენობრივი და ეთნიკურ-კულტურული ისტორია (ავტოქთონი და მიგრანტი მოსახლეობის ენობრივ-ეთნიკური უფლებების შესახებ იხ. ფუტკარაძე... 2010).

დასკვნითი დებულებები:

1. სხვადასხვა ცნობებით თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობს 2-დან 4 მილიონამდე ქართველი (გურჯი, ლაზი/ჭანი). თურქეთის მოქალაქე ქართველები სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- **ავტოქთონი ქართველები:** საკუთარ ისტორიულ მიწა-წყ-

აღზე ცხოვრობენ რიზესა და ართვინის მხარეებში (ისტორიული ლაზეთი, ლივანა-მურღული, მაჭახელი, იმერხევე-შავშეთი, ტაო...);

- **მუჭაჭირი ქართველების (ძველი დიასპორების) შთამომავლები:** კომპაქტურად ცხოვრობენ სტამბოლის, ადაფაზარის, ბურსა-ინეგოლის, გონენ-კაისერის, ამასიის, სინოპე-ორდუ-ფაცას რეგიონებსა და სხვა მხარეებში.
- **ახალი დიასპორის წარმომადგენლები:** ბოლო პერიოდში თურქეთში დამკვიდრებული ქართველები, რომლებიც ეძებდნენ უკეთაზღაურებად სამუშაოს.

2. 1992-2015 წლებში თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველების ენობრივ-ეთნიკური მახასიათებლების შესწავლა და ზემოთ განხილული ჯგუფების მიახლოებითი პროცენტული მაჩვენებლების შედარება საშუალებას გვაძლევს, შემდეგი ძირითადი დებულებები ჩამოვაყალიბოთ:

- თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველები თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტები არიან იმიტომ, რომ მათ სრულფასოვნად მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთი სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ, მაგრამ მათ სუსტად იციან თავიანთი ენობრივ-ეთნიკური ისტორია. ისტორიული დედაენისა და წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ცოდნის დონე განსაზღვრავს პიროვნების ენობრივ-ეთნიკურ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მეობას. თურქეთის ხელისუფლებას თუ ქართული კულტურის მესვეურთ დიდი სამუშაო აქვთ გასაწევი, რომ დაცული იყოს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველების ენობრივ-ეთნიკური უფლებები.
- როგორც წესი, პირს, რომელსაც დავიწყებული აქვს დედაენა (ქართული ენა), დაკარგული აქვს ეთნიკური (ქართული) თვითაღქმაც; თუმცა თურქეთში არც თუ მცირერიცხოვანია შემთხვევები, როცა ასეთ პირებსაც სურთ წინაპრების ენობრივ-კულტურული ხაზის გაგრძელება და ქართული ენობრივ-ეთნიკური იდენტობის აღდგენა; სამისოდ, პირველ რიგში, ისინი ესწრაფვიან ქართული ენის შესწავლას; ამ ბოლო პერიოდში თურქეთის ხელისუფლება საშუალებას აძლევს ასეთ პირთ, ისწავლონ ქართული სალიტერატურო ენა, რაც მისასაღებელია.

3. თურქეთის ამჟამინდელი სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული კულტურის ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ეს ძეგლები ბოლო დრომდე პრიორიტეტული არ იყო თურქეთის ხელისუფლებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ ამ ძეგლებთან გაუცხოებულნი იყვნენ ადგილობრივი მუსლიმანი ქართველებიც... ერთი მხრივ, ბოლო პერიოდში თურქეთში გააქტიურებული ტურისტული ინტერესები, მეორე მხრივ კი თურქეთის მოქალაქე ქართველებისა და თურქეთის აკადემიური წრეების დაინტერესება ამ ძეგლებით საფუძველს ქმნის, **გადარჩეს მსოფლიოს კულტურული საგანძურის ის ნიმუშები, რომლებიც ტაო-კლარჯეთში თუ ცენტრალური თურქეთის სხვადასხვა მხარეშია შემონახული.**

ლიტერატურა

- ბაქრაძე, 1987 — დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი, 1987.
- ბერიძე, 2008 — ე. ბერიძე, ლივანა, ბათუმი, 2008
- გუჯეჯიანი, ფუტკარაძე, 2009 — რ. გუჯეჯიანი, ტ. ფუტკარაძე, იუსუფელის /ისტორიული ტაოს/ ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა — I ხევაი (Biçakçılar), ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009.
- ნარტოზია, 2006 — გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“, თბილისი, 2006;
- ლაბაძე, 2008 — მ. ლაბაძე, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2008;
- მარი, 1910 -НиколайМарт, «ГрамматикаЧанского (Лазского) языка», Санкт-Петербург, 1910;
- ქუთელია, 2005 — ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2005;
- ყიფშიძე, 1911 -ИосифКипшидзе, «Дополнительные сведения Чанском языке», Санкт-Петербург, 1911;

კახიძე, 1974 — ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ბათუმი, 1974.

კახიძე, 2005 — ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან: ჟურნ. ხერთვისი, 2005, №1.

სიხარულიძე 1958 — ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. I, ბათუმი, 1958.

ტბეთის სულთა მატიაწე, 1977 — ტბეთის სულთა მატიაწე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ, თბ., 1977.

ფალავა, 1998 — მ. ფალავა, მ. ცინცაძე, სამხრული დიალექტების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება V-XVII სს. სამწერლობო ენასთან მიმართებით: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1998.

ფუტკარაძე, 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე, 1995 — შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.

ფუტკარაძე, 2007 — ტ. ფუტკარაძე, იმერვევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.

ფუტკარაძე, 2010 — ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, 2010; “T.Putkaradze, E.Dadiani, R.Sherozia, European Charter for Regional or Minority Languages” and Georgia”, Kutaisi, 2010; <http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Serozia-2010>).

ყაზბეგი, 1995 — გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.

შაჰინი, 2005 — მ. შაჰინი, მაჭახლური თქმანი: ჟურნ. ხერთვისი, 2005, №1.

ცეცხლაძე, 2004 — ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმებიდან, ბათუმი, 2004.

PROFESÖR DOKTOR TARIEL PUTKARADZE*Gürcistan Patrikhanesi Aziz Andria Pirveltsodebuli**Gürcü Ünivesitesi***Gürcü Dili,
Türkiye Cumhuriyeti Kültürünün Bir Parçası:
Problemler, perspektifler**

Çeşitli kaynaklarda yapılan araştırmalara göre; Türkiye’de 2 ila 4 milyon arasında Gürcü yaşadığı biliniyor (Gürcü, Laz). Türkiye Cumhuriyeti’nde yaşayan Gürcüleri 3 sınıf olarak tanıtabiliriz:

- Otokton Gürcüleri: Kendi tarihi topraklarında Rize ve Artvin bölgelerinde yaşıyorlar. (Tarihte Lazeti, Livane – Murğul, Machakheli, İmerkhev _ Şavşeti, Tao...);
- Muhacir Gürcülerinin (Eski diyasporanın) torunları: İstanbul’da, Adapazarı’nda, Bursa – İnegöl’de, Gönen – Kayseri’de, Amasya’da, Sinop – Ordu – Fatsa ve diğer bölgelerinde yaşıyorlar.
- Yeni diyasporanın temsilcileri: Son zamanlarda daha iyi bir iş bulma amacıyla türkiye’ye gelip yerleşen Gürcüler.

Türkiye’de yaşayan otokton ve Muhacir gürcülerin torunlarının alt sınıfları dil, etnik, kültür ve devlet kimlikleriyle birbirlerinden ayrılırlar. Son zamanlara kadar iki sınıfın Gürcülerinin en büyük problemi yeni nesil tarafından Gürcü dili –anadil_ olarak unutulması, onun geleceğinin olmaması ve ihtiyaç duyulmaması idi. Bundan daha fazlasını söyleyecek olursak, son 20-30 yıl içerisinde Gürcü dilini konuşulmasının ve bilmesinin çağdaşlık olarak kabul edilmediği gibi köylü dili olduğunun da düşünenlerin çoğunlukta olduğu söylenebilir. Bu tür bakış açısını oluşturan iki neden vardır:

Türkiye vatandaşı olan Gürcüler, sadece kendi lehçesini bilirler ve gürcü dilinin yirmi dört yüzyıllık kültür ve tarihi geçmişini bilmezler. Bununla birlikte Gürcü dilini çağdaş teknolojilerinin dili olarak da değerlendirmezler. Dolayısıyla bu gibi şahıslar için Gürcücenin anadili kimliği, henüz saygınlığını kazanamadı.

Bugüne kadar Türkiye’de sayılan prestijli yabancı diller arasında Gürcüce yer almamaktaydı.

2011 yılında Türkiye Cumhuriyeti “Yerel Diller ve Lehçeler” adı altında programı başlattı. Bu programın hedefi de etnik azınlıkların anadillerini ve lehçelerini kurtarma ve onları korumadır. Tam olarak 2011-2013 yıllarında okullarında seçmeli ders olarak Gürcüce, Abhazca ve Çerkez dilleri kabul edildi. Bununla paralel olarak gürcü dili üniversitelerde akademik alanda faydası olan diller (İngilizce, Almanca, Fransızca, Rusça...) arasında yerini aldı. Bu durum gürcücenin prestijini arttıracaktır.

Günümüzdeki verilerine göre, gürcü dili seçmeli ders olarak sadece bir köyde okutuluyor: Sakarya’nın geyve ilçesinin Nurosmaniye köyünün ortaokulunda. (Öğretmen: Mustafa Kolat / Kolotaşvili). Önceki yıllarda Belediyelerinin yardımıyla Gürcü dil kursları kocaali de (izmit te) (2010), Sakarya’da (2011yılı Ekim ayında), ve Gürcü toplulukların yardımıyla – Düzce’de (1999-2014), İnegöl’de (2011-2014), İstanbul’da (2007-2010), Ankara da (2012) yılında açıldı.

Türkiye Cumhuriyeti vatandaşı olan gürcüler, hala mevcut olan korku faktörü ortadan kalktıktan sonra, etnik gürcülerinin yaşadığı her bölgede resmi olarak anadilleri olan gürcü dili dersinin verilmesini talep ettiler. Bu gibi taleplerin artması durumunda Türkiye Cumhuriyeti Gürcü dili eğitimcilerinin kısıtlı olması sorunuyla karşı karşıya kaldı. Ancak bu problem de çabuk çözüldü. Çünkü Düzce, Rize, Ardahan ve Kars üniversitelerinde gürcü dili eğitimleri başlatıldı. Burada da belirtmek gerekir ki eğitimcilerin kısıtlı sayıda olmasını çözmek için Türkiye Cumhuriyeti , Gürcistan vatandaşlarına okullarında öğretmenlik yapma hakkı tanırsa sonuçları daha verimli olacaktır.

Gürcü dili üniversite ve eğitim dili olarak kabul edildiğinde Gürcü dili kültür mirası olarak kalacaktır, **ancak Gürcülerinin yerlilehçelerini kurtarıp koruyamaz.** Alfabeti olmayan dilleri ve lehçeleri kurtarma tüm dünya halkının sorunudur. Akademik çevre ve devlet tarafından bu yönde iki çeşit aktivite yapılabilir:

1. Türk ve Gürcü bilim adamları tarafından birlikte gürcü diyalekt ve lehçeleri belirtme ve bu diyalekt ve lehçelerinden bir temel oluşturma çalışmalarının yapılması için geziler düzenlenmeli.

2. Okutulan gürcü dilinin belirlenmiş programıyla birlikte paralel olarak bir çalışma kitabı oluşturulmalı bu çalışma kitabı hem öğretmenlere hem de öğrencilere rehber niteliği taşıyarak kendi lehçesinin (Acar lehçesi, Livane lehçesi, Machakheli lehçesi , Tao lehçesi, İmerhev lehçesi...) detayları ve kelime hazinesinin birimlerini yazıp kurtarma olanağı sağlanmalıdır.